# სახალხო გაზეთი

№ 922 ოთხშაბათი, 19 ივნისი 1913 წ. № 922

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ ივით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

**გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.**

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



### სახალხო გაზეთი

**ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით**

პირველი მკათათვიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **4 მ. 50 კ.**

**თვეში ღირს 75 კაპ.**

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

**მისამართი:** Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.


16 ივნისს, ღამის 11 საათზე, ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## მიხეილის ასული ეკატერინე ხუროშვილისა,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **მეუღლე მისი ნიკოლოზ ზაქარიას ძე ხუროშვილი,** დედამთილი **სოფიო** და რძალი **მარიამ,** მული **ნინო ზაქარიას ასული ნიჟარაძისა;** მშობლები **ნინო** და **მიხეილ,** ძმები **გიორგი** და **ვანო,** დაი **ვერა** და რძალი **ირინე.** მიცვალებულს გამოასვენებენ 19 ივნისს, დილის 10 საათზე, საკუთარი სახლიდან, გოგოლის ქუჩა 61, წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა იმავე დღეს წმ. ნინოს სასაფლაოზე. 373

## ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი

**(საზაფხულო თეატრი)**

შაბათს, 22 ივნისს, 1913 წლ. გაიმართება

## მუსიკალურ-დრამატიული საღამო

## ნინო და ბარბარე ვლადიმერის ასულთა ალექსი-მესხიშვილებისა

**კრეინინისა, კოპელნიცკისა,** ინაშვილისა, გაგიკ ორომანსისა, მხატვრის ვ. სიდამონ-ერისთავისა, ქართულ დრამის რეჟისორის ალ. წუწუნავასი, გრიშაშვილისა და სხვა., აგრეთვე ე. ი. ზელიონის დირიჟორობით „ახალ-კლუბის" 50 კაცისაგან შემდგარ სიმფონიურ ორკესტრის მონაწილეობით.

ადგილების ფასი: 40 კაპ. 2 მან. 50 კაპ. და გალერეა 20 კაპ. 40 კაპ. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. 1358



## პირველ-ხარისხოვანი

# დიდი ცირკი

## ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს, მხოლოდ ძმ. ესიკოვსკების ცირკს შეუძლიან იმის ჩვენება, რაც სხვებს არას დროს არ შეეძლებათ!

**დღეს, 19 ივნისს, 1913 წ.**

**გ ა ი მ ა რ თ ე ბ ა**

## კლოუნთა დიდი წარმოდგენა.

სიცილისა და გართობის საღამო ან 1000 წამი განუწყვეტელი გომერიული სიცილი. სადღესო პროგრამა შესდგება მხოლოდ საცინებელ ნომრებისაგან. მონაწილეობას იღებენ ყველა კლოუნები, „რიჟები", ექსცენტრიკები, საპირბოროტო მასხარები. უკანასკნელი გასტროლი ტფილისელების საყვარელისა, გამოჩენილი ბულგარელ მოჭიდავე **ქალის თამარისა** (თამარა გამოვა დაახლოვებით 10-ნახევარ საათზე). გამოვლენ გამოჩენილი აკრობატები, წოდებულნი „ვეფხვებად" **ძმ. ვოგენცოვებ - ბ. ანდრეევის** სახელგანთქმულ კაპელის გასტროლი. შესრულებული იქნება ახალი რეპერტუარი. უკანასკნელი გასტროლი გერმანელ მსახიობის ბ. **ადოლფისა.**

**დასაწყ. საღ. 8 ს.** დირექცია **ძმ. ესიკოვსკები.**

364 გამგე **ლ. მ. ზუნდაძე.**

## ჭიათურის შავ-ქვის მრეწველთა

# კრების საბჭო

## ი წ ვ ე ვ ს:

1) ჭიათურის საქალაქო სასწავლებლის **ინსპექტორს,** ჯამაგირი 1800 მან. წლიურად. გარდა ამისა, ბინა, განათება და გათბობა.

2) სასოფლო სკოლებისათვის **სამ მასწავლებელს,** ჯამაგირი 600 მანეთი თითოს წლიურად.

ვისაც ამ თანამდებობის დაჭერა სურს, განცხადება და ყველა საჭირო საბუთი უნდა წარადგინოს საბჭოში ქ. ქუთაისში

**1913 წ. 13 ივნისის დამლევამდე.** 1356

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

**ისყიდება იაკობ გოგებაშვილის წიგნები:**

| | | |
|---|---|---|
| ასპინძის ომი. | ფასი | 7 კ. |
| ბურჯი ეროვნებისა | „ | 20 „ |
| ივანმა რა ჰქმნა? | „ | 5 „ |
| თავდადებული ქართველნი | „ | 7 „ |
| მოსავლის მცველნი | „ | 20 „ |
| მეფე ერეკლე და ინგილო ქალი | „ | 5 „ |
| რანი ვიყავით გუშინ? | „ | 20 „ |
| რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები | „ | 1 მ. |
| საარაკო თავ-გადასავალი ტახტის მემკვიდრისა | „ | 10 „ |
| ახივი წარსულისა | „ | 5 „ |
| თავდადებული ქართველი ექიმი | „ | 5 „ |
| საარაკო თავ-გადას. ტახტის მემკვიდრისა | „ | 10 „ |
| Методика къ русскому Слову | „ | 40 „ |
| Разборъ учебныхъ руководствъ по русскому языку | „ | 50 „ |
| Нормальное письмо | „ | 20 „ |
| Правда о Тифлисѣ | „ | 20 „ |
| О груз. и русскомъ алфавитахъ | „ | 20 „ |
| Какъ улучшить кавк. народ шк. | „ | 20 „ |
| Къ вопросу о мингрель. школѣ | „ | 20 „ |
| Государственный языкъ. | „ | 30 „ |
| Очеркъ сравнит грамматики груз. и русск. языковъ | „ | 20 „ |
| Къ вопросу о поднят и уровня образованія среди грузинскаго дворянства. | „ | 50 „ |

**ახალი წიგნები:**

| | | |
|---|---|---|
| საყმაწვილო მოთხრ. ე. გაბაშვილისა | „ | 30 „ |
| იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად. | „ | 75 „ |
| ილია ჭავჭავაძის ნაწერები | „ | 1 მ. |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.**

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი გ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს.<br>**ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>**ექ.-ქალ. ენგელ. მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12 |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.<br>**სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე 1—2. |
| ბავშვთა სნეულბ. | **ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფედოროვი ბ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | **ზედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10½—12.<br>**ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12.<br>**ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2 |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე $1^1/_2$—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **„606"** და **„914" წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

## ახალი სითხე „უ ა კ მ ე ნ ი"

არის ერთად-ერთი **საშუალება** ვენახებისა, ბაღებისა და სხვა მცენარეთა **სოკოს ავადმყოფობის მორჩენისა და მავნე მწერთაგან დაცვისა.**

**მიღებული აქვს საპატიო დიპლომი** ქუთაისს 1909 წლის ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო გამოფენ. ზე. ნარდი და წვრილი ვაჭრობა

## „ი. გოკიელოვებისა და შვილების"

**სავაჭრო სახლში, ქ. ქუთაისში.**

განმარტება „უაკმენის" სითხის სარგებლობის შესახებ მსურველს შეუძლიან მიიღოს რუსეთის ერთად-ერთ წარმომადგენელთან

**კანტორა „კლოდ-მგურულში", ქუთაისში.** 301

### ტფილისის საკომერციო

# ბ ა ნ კ ი

## ფოლადის ჯავშნიან შესანახავში

## უშიშო უჯრები

## ქ ი რ ა ვ დ ე ბ ა

1 წლით, ½ წლით და 3 თვით. 1357

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1½ ს

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—1½ ს.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—1½ ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ვ. ვ. კლდიაშვილი.** ყ. დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**ანამლობ „606"-ით** 1053

## ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით** იკვლ. ათაშანგ. ორწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელიზაბედ ქ., № 94,** კიროჩნი ქუჩის ახლო, სადარბაზო განყოფილებაში. 102

## ექიმი შ. ა. მიქელაძე.

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 6 ნახ.—8 ნახ. საათ. კათის ქ., № 6.

## ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 324

## ვასწავლი

ქართულ **„სიმღერა-გალობას"**

და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს **გუნდისთვის.** მუდმივ გუნდის მიწვევა ეკლესიებში, კონცერტებზედ, პირობის გაგება, მოლაპარაკება, მიღება და ჩაწერა **მიხეილ კავსაძესთან** კვირაობით, ოთხშაბ. და შაბათობ. საღ. 5—7 ს-მდე. ავჭალის ქუჩა № 29. ვიღებ და ვასწავლი **მუშა-ხალხსაც.** ვიწვევ მგალობლებს **ანჩისხატის საკრებულო ტაძარში,** სადაც კვირა-უქმეებში მუდმივ გალობს გუნდი. 349.

## ექიმი კბილისა ნინო რუხაძე

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს., ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახ. მაქარაშვილისა.

## ექიმი კბილის ა. გ. ხოლოდაშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

## ექიმი ივ. გომართელი

პირველი ივნისიდან პირველ ენკენისთვემდე ავადმყოფებს მიიღებს **ბორჯომში.** აგარაკი მირზოევისა. 307.

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა

## საბურთალოზე

**მშვენიერ ალაგას**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

# ახალი ამბავი

## ტფილისი

**✦ პოლიტეხნიკუმი.** 17 ივნისს, მეფის მოადგილის საბჭოს დარბაზში პირველი კრება შეხდა საუწყებათაშორისო კომისიისა, რომელმაც პოლიტეხნიკუმისთვის ადგილი უნდა აირჩიოს. თავჯდომარეობდა მეფის მოადგილის საბჭოს წევრი მ. პ. გაკელი. დაესწრო 19 წევრი. პირველად კრებამ განიხილა კომისიის მუშაობის პროგრამა. კომისიის ზოგიერთმა წევრმა, რომელიც ტფილისს სხვა ქალაქებიდან არის ჩამოსული, განაცხადა, ტფილისში დიდხანს ვერ დავრჩებით და საჭიროა საქმის ვითარების ახლავ გაცნობაო. ამის გამო კომისიამ ნავთლუღისა და საბურთალოს მიწების შესახებ დაწვრილებითი ცნობები გადასცეს: კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ნ. ფ. რუდოლფმა, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თ-დმა კ. ს. აფხაზმა და ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა. გადასწყდა, მიწების ადგილობრივ დათვალიერებას 18 ივნისიდან შეუდგნენ. კომისიის მეორე კრება დანიშნულია დღეისთვის, ნაშუადღევის 1 საათზე.

**✦ ახტალის მონასტრის** განახლება საბოლოოდ გადაწყვეტილია. მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების დავალებით საუკეთესო ხელოვნებათა წარმომადგენელ კავკასიის საზოგადოების სამხატვრო-სახუროთ-მოძღვრო განყოფილებამ გამოარკვია, რომ შესაძლებელია მონასტრის სრული აღდგენა. პროექტისა და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას განყოფილება უკვე შეუდგა.

**✦ მუშა ლასა მგელაძე** 14 ივნისს, მეტეხის ციხიდან ტფილისის საგუბერნიო ციხეში გადაიყვანეს, ხოლო იქიდან ამავე თვის 18 საზოგადო ეტაპით ციმბირის მარეულ მაზრაში (ტომსკის გუბერ., ნარიმის მაზრაში) იგზავნება ხუთის წლით.

**✦ ხალხოსნური ბიკენტი (ჭოლა) ლომთათიძე,** ოზურგეთში სპ. მცირიძვილის, გურის და ქოლხის სახელებით ცნობილი, ამა წლის 16 ივნისს მეტეხის ციხიდან ტფილ. საგუბერნიო ციხეში გაიგზავნა, ხოლო იქიდან უმახლოებელეს ეტაპით (17—18 ივნისის) ასტრახანს იგზავნება ადგილობრივ საპატიმროში (Богодѣльня) მოსათავსებლად.

**✦ სანდრო შანშიაშვილს** დაუწერია ახალი პოემა „იდუმალობის წინაშე". პოემა ეხება სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოების საკითხს და ნაზად არის დაწერილი. შანშიაშვილისგანვე მიიღო გამოსაცემად სიტყვა-კაზმულმა საზოგადოებამ შილერის „დონ კარლოსი", გერმანულიდან ნათარგმნი.

**✦ ფილოქსერასთან ბრძოლა.** მეფის მოადგილემ მევენახეობისა და მეღვინეობის ტფ. საგუბერნიო კომიტეტს ფილოქსერასთან საბრძოლველად საეროზო თანხიდან 13,880 მ.

მისცა. ეს ფული ამგვარად უნდა დაიხარჯოს: 900 მან. თელავის ვენახებზე, 3,240 მან. კურდღელაურის ვენახების გამოკვლევაზე, 2,400 მან. თელავის მახლობლად დაავადებულ ვაზების მოსასპობად და ფილოქსერის ბუდეების ამოსაფხვრელად, 2,060 მან. ალაზნის გაღმა მხარეს ფილოქსერის ბუდეების ამოსაფხვრელად და სხვა.

✦ მეფის მოადგილის თანაშემწე **გენერალი შატილოვი,** რომელიც ბათუმს იყო წასული მეფის მოადგილის გასაცილებლად, გუშინ ტფილისს დაბრუნდა.

✦ შაბათს 15 ივნისს, ტფილისს ჩამოვიდა ხონის სასტატო სემინარიაში კურს-დამთავრებულთა ექსკურსია, რიცხვით 16 კაცი, მასწ. ლავრენტი ჩიმაკაძის თანხლებით. კვირას დაათვალიერეს სიონის საკათედრო ტაძარი და ტაძრის მუზეუმი, დიდუბის ტაძარი, შემდეგ მამადავითის ეკლესია ძეგლებითურთ; ორშაბათს დაათვალიერეს ქართ. გიმნაზიაში პედაგოგიური გამოფენა, შემდეგ ბოტანიკური ბაღი, საღამოს კი ფუნიკულიორით ავიდნენ მთაწმინდაზე. სამშაბათს დილით გაემგზავრნენ ბორჯომს.

**✦ საბირჟო ცნობები.** 18 ივნისს ტფილისში მეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მ. 50 კ., აძლევენ—84 მან., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—83 მ. 25 კ., აძლევენ—82 მან. 75 კ. და ქუთაისის სათავ.-აზნაურო საადგილმამულ. ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—81 მ. 20 კ., აძლევენ—80 მ. 30 კ.

**✦ ქალაქის შრომის ბირჟაში** წარსულ მაისის განმავლობაში 354 უმუშევარი ჩაწერილა: ამათში 179 კაცი ყოფილა, 175 ქალი. ეროვნების მიხედვით ასე განაწილდებიან: რუსი—212, ქართველი—53, სომეხი—46, ოსი—20, პოლონელი—16 და დანარჩენი სხვადასხვა ეროვნებისა. უმუშევრებში წერა-კითხვის მცოდნე ყოფილა: 144 კაცი და 75 ქალი. სამუშაო ხელის მძებნელი ბირჟაში ამავ მაისში ჩაწერილა 266.

**✦ სავაჭრო ბანკის გახსნა.** გუშინ აკურთხეს და გახსნეს ტფ. სავაჭრო ბანკი, რომელიც მოთავსებულია სერგეევის ქუჩაზე (№ 8). კურთხევის შემდეგ მისაფერი სიტყვა წარმოსთქვა ვაჭართა მამასახლისმა ა. ნ. მილოვმა. დეპეშები გაეგზავნათ ვაჭრობისა და მრეწველობისა და ფინანსთა მინისტრებს და სხვათ.

**✦ კავკასიის სამთო-მადნო სამმართველოს** განვლილ მაისის განმავლობაში შემოსავალი ჰქონია 31,166 მან. 68 კ.

**✦ საესპერანტო გამოფენა.** დედათა პირველ გიმნაზიის შენობაში ესპერანტოს წიგნებისა და გამოცემათა გამოფენა გაიხსნა.

**✦ ექსკურსია.** 20 ივნისს ტფილისს ჩამოვიდნენ კიევის ქალთა უმაღლეს კურსების მსმენელნი, რიცხვით 45 კაცი, რომელნიც ტფილისში 4 დღე დარჩებიან.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალ **„ოქროს ვერძი"**-ს მე-4 ნომერი. ჟურნალში მოთავსებულია ლექსები, მინიატურები და მოთხრობები: ნ. ჩხიკვაძისა, გ. ტაბიძისა, გრიგოლ რობაქიძისა, ნ. ლორთქიფანიძისა, ჯ. ჯორჯიკიასი, კ. აბაშისპირელისა, დია ჩიახელისა, ტ. ტაბიძისა, შ. დადიანისა და მგოსნის გ. ქალადიდელის სურათი. ჟურნალი ჩვეულებრივ კოხტად და შინაარსიანად არის გამოცემული.

✦ ტფილისში უკვალოდ დაიკარგნენ ლევან სერგეს ძე ზალიაშვილი და ალექს. სვიმონის ძე მალალაშვილი.

## სასწავლებლებში

**✦ ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის** საპედაგოგიო საბჭომ წელს პირველ კლასის 17 მოსწავლე დაითხოვა ცუდად სწავლისათვის. დათხოვნილებმა ქალაქის გამგეობას სთხოვეს სასწავლებელში უკან მი-

ღება. გამგეობამ მათი თხოვნა განსახილველად გადასცა ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიას, რომელმაც დაადგინა: მიეცეს წინადადება საპედაგოგიო საბჭოს, მიიღოს უკან სასწავლებელში ის მოსწავლენი, რომელთაც ყოფა-ქცევა კარგი აქვთ.

**რკინის გზაზე**

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის **1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვის** განხილვაში მონაწილეობის მისაღებად პეტერბურგს გაიწვიეს ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ბ-ნი ე. ა. ფონ-როოპი.

**შეცდომის გასწორება.**

ფელეტონში „ოსკარ უაილდ" შემდეგი შეცდომა შეიპარა: **„თავის ცოლს, თავის ძვირფასს ცოლს"** უნდა იყოს: **„თავის ტოლს, თავის ძვირფას ცალს"**.

# სრულიად რუსეთის ბუნებისმეტყველთა და ექიმთა მე-XIII კრება

✦✦ 17 და 18 ივნისს დაიწყო სექციების მუშაობა. 17 ივნისს კრებები დაიწყო დილის 9 საათიდან. ანატომიისა და ფიზიოლოგიის სექციის თავმჯდომარედ აირჩიეს სარატოვის უნივერსიტეტის პროფესორი **პავლოვი**, სამეცნიერო ბეითლობის სექციის საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს ყაზანის საბეითლო ინსტიტუტის პროფესორი **ტრეტიაკოვი**; საპედაგოგოსი — მასწავლებელი **ვარავა**, აგრონომიისა—ახალ ალექსანდრიის საგრონომიო ინსტიტუტის პროფესორი **ბარაკოვი**, გეოგრაფიისა—მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი **კაბლუკოვი**. 18 ივნისს მოხდა ენათა მეცნიერების სექციის სხდომა, რომელზედაც სხვათა შორის მოხსენებები წაიკითხეს: **მ. ჯანაშვილმა:** „ქართული ენის ნათესაობა ინდოევროპიულთან" და **ბ. დოდაშვილმა:** „ქართული რიცხვითი სახელის წარმოშობა".

✦✦ 18 ივნისამდე მეცამეტე კრების მონაწილეთა რიცხვი 3,282-მდე ავიდა. 18 ივნისს 4 საათამდე ტფილისში ჩამოვიდა კიდევ 46 კაცი.

✦✦ 17 ივნისს გაიხსნა გამოფენები თითქმის ყველა სექციასთან. საუკეთესო გამოფენა საპედაგოგიო და საექიმო-საბეითლო სექციებთან. პირველ გამოფენაში შეგროვილია ყველა ის მასალა, ან ნივთები კავკასიის სამოსწავლო ოლქის სხვა და სხვა კუთხისა, რომელთაც სწავლა-აღზრდის საქმესთან რაიმე დამოკიდებულება აქვს. აქვე არის გამოფენილი მოწაფეთა მიერ „გაკეთებული ნივთები, ნაქარგი და ნახლაპი. აგრეთვე აქვე გამოფენილია საფიზიკო კაბინეტი პირველი გიმნაზიისა, სობოტანიკო და ზოოლოგიის სხვა და სხვა კოლლექცია, ღერბარი და სხვა. მდიდარია ექსპონატებით აგრედვე საექიმო და საბეითლო სექციების გამოფენა. ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს გადმოსახლებულთა სამართველოს ციებ-ცხელების წინააღმდეგ მებრძოლი სადგურის მიერ მოწყობილი გახყოფილება, სადაც დამსწრეთ ექიმები ლექციებს უკითხვენ დიაგრამებიდან და ექსპონატებიდან ნათლად სჩანს, რომ მთავრობა უმთავრეს ყურადღებას მხოლოდ იმ ადგილებს აქცევს, სადაც რუსების გადმოსახლება სურთ: მაგალითად მუღანის ველი და სხვა. ხალხი გამოფენებს ძლიერ ბევრი ესწრება.

✦✦ დაიბეჭდა და გამოვიდა: „სრულიად რუსეთის ბუნების მეტყველთა და ექიმთა მეცამეტე კრების დღიური № 1" აგრეძვე ამავე კრებულის მეორე ნომერი.

✦✦ მეორე საერთო სხდომა კრების წევრებისა მოხდება სახაზინო თეატრში ხუთშაბათს 20 ივნისს, შესასვლელი ბილეთებს წინდაწინ აღება შეიძლება ცენტრალურ ბიუროში, ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლში დილის 9 საათამდე,

✦✦ ცენტრალური ბიურო კრების წევრთათვის ექსკურსიებს აწყობს ბორჯომს, ბაკურიანს, გორს, მცხეთას, სანაინს, გუმბრსა და ანისს, ეჩმიაძინს, ერივანსა და გოკჩას, ყარაიზსს, დოლლიარსა და ქედაბეკს, ბაქოს, ქიათურას, ქუთაისსა და ტყვიბულს, ბათომს, მარტყოფსა და საქართველოს სამხედრო გზით. ექსკურსიებში ჩაწერა შეიძლება ცენტრალურ ბიუროში 21 ივნისამდე.

✦✦ გუშინ მეფის მოადგილის თანაშემწემ სენატორმა ე. ა ვატაციმ დახვერილებით დაათვალიერა სამეცნიერო საბეითლო გამოფენა (პირველ სავაჟო გიმნაზიის სადგომში.

✦✦ ბუნებისმეტყველთა და ექიმთა კრების მონაწილენი დღეს, 19 ივნისს, ქალაქის ახალ სასალახოს დაათვალიერებენ. კრების მონაწილეთათვის დღეს ერევნის მოედანზე საგანგებო ვაგონები იდგება. დასათვალიერებლად სამ გუნდად წავლენ: პირველი ჯგუფი წავა დილის რვა საათზე, მეორე—შუადღის 12 საათზე და მესამე—საღამოს 5 საათზე.

✦✦ ბუნებისმეტყველთა და ექიმთა მეცამეტე კრების მონაწილენი 21 ივნის ავჭალის წყალ-სადენს დაათვალიერებენ.

✦✦ პარასკევს, 21 ივნისს, ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების ძეთოხზე საჯარო კრება მოხდება. კრების მიზანია—გააცნოს ბუნების მეტყველთა და ექიმთა მეცამეტე კრების მონაწილეთ ქართული კულტურა და მისი ტიპიური გამოხატულებანი. კრების პროგრამა: 1) წინასწარი შენიშვნები თავმჯდომარისა, 2) მ. ვ. მაჩაბლის სიტყვა საქართველოს თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, 3) გ. თ. ყორღანიას მოხსენება: ყოფა-ცხოვრება და ჩვეულებანი ქართველ ხალხისა ი. ჯავახიშვილის ნაწერებში, 4) მოხსენება დ. ი. არაყიშვილისა: სახალხო სიმღერები და კულტურა ქართველებისა, 5) სალიტერატურო სამუსიკო განყოფილება: წაიკითხავენ ქართულ პოეტების ლექსებს ქართულად და რუსულ თარგმანებს, ახალ კლუბის სასიმფონიო ორკესტრი შეასრულებს ქართველ კომპოზიტორის დ. ი. არაყიშვილის ნაწარმოებს ავტორის ლოტბარობით, გ-ნ კავსაძის ხორო, ნაციონალურ ტანისამოსში გამოწყობილი, ქართულ სიმღერებს იტყვის. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ბუნების მეტყველთა და ექიმთა კრების მონაწილეთათვის ბილეთები უფასოა. ბილეთების მიღება შეიძლება 20 ივნისს, საღამოს 6-დან 9 საათამდე კრების ბიუროს სადგომში (სახალხო სახლში).

# ვინ ყოფილან ქველად ქართველნი

წინა წერილში (იხ. „სახ. გაზეთი" № 919 „საიდან წარმოსდგა სიტყვა ივერია") ჩვენ მოვიხსენიეთ ერთი-ერთი მხარე ჩვენი წარსულის ცხოვრებისა და ჩამოვთვალეთ რამდენიმე გეოგრაფიული პარალელიზმი. ამ პარალელიზმებს ლოღიკურად მოსდევს კითხვა: რა კავშირი აქვს იმ ორ ქვეყანას, სადაც ასეთი პარალელიზმები მოიპოვება? ჩემის აზრით, ჯერ-ჯერობით უადგილოა ამ კითხვის აღძვრა, სანამ არ მოვიყვანთ სხვა პარალელიზმებსაც, როგორც კულტურულს, ისე ლინგვისტიურს. ამ წერილში შევეხები მხოლოდ **რკინის** კულტურას.

რას უნდა ნიშნავდეს სიტყვა „ქართ-ლი", რომელიც მეგრულად გამოითქმის „ქორთუ", სვანურად კი „ქიართ"? დოქტორი ო. შრადერი თავის წიგნში: „შედარებითი ენათა ცოდნა და პირველყოფილი ისტორია", გვერდი 307 ამბობს: „ოსტიაკები უწოდებენ რკინის „**Karti**", კოტიაკები—„**Kort**", ჩერემისები—„**Kirtni**", ძველი ირანელები—„**Kareto**" ახალი სპარსები—„**Kard**"; ბუხარელები—„**gard**"; ოსები—„**Khard**".

ყველა ეს სახელები სვანურში (ძველ ქართულში) მოიპოვება. „ქორთ"—მთის სახელია ზემო სვანეთში და ითქმის ნათესაობით ბრუნვაში „**ქორთაშ**"—ესე იგი რკინისა „კარეტა"—სვანეთში ძთის სახელია და ითქმის „კარეტ—ზეგარ"—ესე იგი „კარეტის მთა".

„გარდ" სვანეთში მთის სახელია და ითქმის „ლე-გარდ"—ესე იგი „საგარდო" ანუ სარკინოო. ჩვენს სიტყვას „რკინას" იგივე ფესვი აქვს. გადავშალოთ ზემოხსენებული შრადერის წიგნი გვერდი 298: **rkina=er-kath**, ალბანურად **ekur**. სიტყვა „ქართული" დღემდე ჩვენში ნიშნავს ხმალს. ახლა შევეხოთ იმას, თუ რამდენად მტკიცდება ის აზრი, რომ „ქართ-ლი", „ქორთუ" ქიართ—რკინის მრეწველობის ქვეყანა ყოფილა. ლიპერტი თავის წიგნში: „კულტურის ისტორია" გვერ. 141, ამბობს: „რკინის მადნის მეორე ცენტრალურ პუნქტად ითვლება სომხეთისა და კავკასიის შორის მდებარე ადგილი, შესანიშნავი მადნეული ქვეყანა, სადაც ცხოვრობდა თუბალთა ტომი, ძველ მწერალთაგან ტიბარელებად წოდებული".

რაც შეეხება იმას, თუ ვინ იყვნენ „ტიბარენი", ჩვენ ამას შევეხეთ წინა წერილში („სახ. გაზ." № 919). აქ ამავე სიტყვას შევეხოთ მხოლოდ გრამატიკულად: ფესო: „ტიბ"+მრავლობითი რიცხვის დაბოლოვება. სვანურში—„არ+სუფიქსი, რომელიც ნიშნავს ადგილს—„**ენი**" და გამოდის ის, რაც უკვე ვსთქვით: „ტიბარენი" ანუ „ივერელნი". (იხ. ზემოხსენებული წერილი: „საიდან წარმოსდგა სიტყვა „ივერია"), ეს ერთი. მეორე. შევეხოთ საქართველოს სხვა სახელებს. სპარსელები საქართველოს ეძახიან „გურჯისტან". „გურჯი" ნიშნავს რკინის იარაღს (იხ. შრადერი გვ. 328).

სამეგრელოს სვანები ეძახიან „ზან", თავის ქვეყანას შუან=სუან—ორივე სიტყვა წარმოსდგა სიტყვა „სანა"-საგან, რაიცა ნიშნავს გამოქვაბულს, ამ სიტყვებისაგან წარმოსდგა სიტყვა „სენაკი". მაშასადამე, სვანეთი ყოვლად შეუძლებელია გადავაქციოთ „სვანეთად", როგორც უკვე შემოღებულია ჩვენში, იმიტომ, რომ ქართულს თვისება აქვს სხვა სიტყვებში მეტი ასოების ჩამატებისა, მაგალ. „ცხენის წყალი", უნდა იყოს „ცენის წყალი", რადგან გამოდის იმ ადგილიდან, რომელსაც სახელად „ცენა" ჰქვიან; და ძველად „სუანეთი" და „ზან" (სამეგრელო) ნიშნავდა გამოქვაბულების ქვეყანას—რკინის მოსაპოვებლად. თავისუფალ სვანეთში, სოფ. უშგულში დღემდე დარჩენილა კავკასიონის ქედში გამოქვაბული, საცა „თავისუფალმა სვანმა" ნახა კიბეები და სხვა სამუშაო მასალა. იმავე სოფლის მცხოვრები, აწ განსვენებული მჭედელი ფეფიუ, ბლომად შოულობდა ტყვიას იმავე მთაში. სვანებმა იციან სელიტრის მოყვანა და თოფის წამლის მზადება.

მესამე. შევეხოთ რკინისა და იარაღების სახელს ჩვენში.

შრადერი, გვერ. 283, ამბობს:

მაგრამ მნიშვნელობა „**berejya**", რომელიც მხოლოდ ერთხელ გვხვდება ავესტაში „**paroberejya**"-ის სახით, Вендид. 8,254) სრულიად გაუგებრაა. იუსტი სთარგმნის ამ სიტყვას „სპილენძთან შედუღებულად—გეიგერიკი. „**paro+berejyat**"-ს კალის ერთგვარ ნიმუშად სთვლის". შრადერს რომ სცოდნოდა სვანური, მოიგონებდა, რომ სვანური სიტყვა „ბერეჟ" დღემდე ნიშნავს რკინას. ქართულში დარჩენილია სიტყვა „ბურჯ"-ში; სვანური სიტყვა „ლი-ბურჯ"-ე ქართულად ითარგმნება—„თხრა", შინაარსი კი უნდა ჰქონდეს—„რკინის ძებნა". თვით ქართული სიტყვა „თხრა"—სვანურად ითქმის „ლი-თხელი" ნიშნავს აგრეძვე ძებნას, მოპოვებას (უნდა ვიგულისხმოთ რკინისას). ქართული სიტყვა „ხვნა" უდრის სვანურს „ლი-ხნი"-ს, რომელიც ნიშნავს ხვნას. შინაარსი ამ ორი სიტყვისა არის: „ხარით მუშაობა". „ხარი"—სვანურად „ხან".

სვანური სიტყვა „ბერეჟ" ემსგავსება სუმმერიულ სიტყვას „**ბარზა**", მაგრამ ამაზე უფრო ძველია, როგორც ზევით დავინახეთ. შრადერი ამბობს (გვერ. 297). „ჰომმელის აზრით, სემიტებმა რკინის სახელი, ისე როგორც სხვა დანარჩენი ლითონისა, გადმოიღეს სუმმერიელებისაგან, რომელთა ენაზედაც მას **borsa**" ჰქვიან. ამ სიტყვის ახსნა უნდა ვეძიოთ, სპარსეთის სახელ ჰიეროგლიფურ წარწერაში „**pars**" ე. ი. სპარსეთად იწოდება ის ქვეყანა, საიდანაც მოდის უმეტესი ნაწილი ეგვიპტეში მიტანილი ლითონისა". შრადერს რომ სვანური სცოდნოდა, ვიტყვით ამას მეორედ, შეიძლება სხვა დასკვნა გამოეყვანა, ესე იგი თვით სპარსეთი, ანუ რკინეთის ქვეყანა, ღებულობდა რკინას ჩვენგანა, რადგან სიტყვა „ბერეჟ" უფრო ძველია, ვიდრე „**parsa**".

ჩვენებურ სიტყვას „ბერეჟ"-ს უახლოვდება და იმისაგან წარმოსდგა ლათინური სიტყვა **ferrum**. შრადერი, გვერ. 394. უახლოვებს სემიტურ სიტყვას „ბერეცელ", მაგრამ აშკარად შეგვიძლია დავინახოთ, რომ **ferrum**, ანუ **fersum**, უფრო ახლოა სიტყვა „ბერეჟ"-თან, ვიდრე „ბერცელ"-თან. შესაძლებელია სიტყვა „**ferrum**" უჩვენებდეს იმ გზას, რომლითაც ღებულობდნენ იგინი*) რკინას.

„ადვილი შესაძლებელია, რომ პირველყოფილი ფორმა ამ სიტყვისა ყოფილიყოს „**fersum**", ამიტომ მე, თანახმად ლენორმანისა და ვეიზესი, უყოყმანოდ ვუპირისპირებ მას სემიტურ სახელწოდებს". მაშასადამე, ქართული სიტყვა „ბერეჟ"—რკინა — უძველესია აზიაში. ახლა შევეხოთ სხვა სიტყვებს. ქართულში რომ ვხმარობთ სიტყვა „ფოლად"-ს,—სპარსულია; იხილე შრადერი გვერდი 298 „ახალი სპარსული **pu-lād** ეთანაბრება სირიულ **p-e-d-ს**. ძველი ქართული დარჩენილია სვანურში, რომელიც გამოითქმის: „ჩალიკ". უდრის ალბანურს „ჩელიკ"-ს და ამ სიტყვისაგან წარმოსდგა ბერძნული სიტყვა „ხალკოს"; შრადერი, გვერდი 311. „ფოლადის ბერძნული სახელწოდება პირდაპირ უჩვენებს პონტის სანაპიროს. ქართულში სიტყვა „მადანი" — სპარსულია; ძველი ქართული დარჩენილია სვანურში და ითქმის: „ლადამ", ხოლო სანსკრიტულად „ლოჰა". (შრადერი—გვერ. 306).

შრადერი—გვერ. 235. „სანსკრიტული სიტყვა **dhamata** (თამადა) ნიშნავს გადამდნობს". როგორც რკინა და მისი სახელი, აგრეთვე მრავალი იარაღი სხვებს და, სხვათა შორის, ლათინებს გადაუღიათ ჩვენგან:

მაგალითად: ქართულად „ქუდი"—პეჰლევიურად „**ქოდ**"—ნიშნავს რკინის ქუდს (შრადერი გვ. 326. შედარება ყველგან ჩვენია, რადგან შრადერი სვანებს სულ არ იხსენიებს, ქართველებს მხოლოდ არ[illegible] ქონში). ქართ.—„ისარი"—[illegible]ტული ისჰუ (შრ. გვ. 326). ქართული „წალდი"—პამირულად (ტიბეთურად) „წიდ." ქართული „ხიშტი"—ძველი ლათინური—„ღასტა". ქარ. „ჩადრი" — ძველ-ლათინ. „ცეტრა" (რკინის ბადე იარაღი) „ცხადია, ეს ბარბაროსთა სიტყვა"-აო, ამბობს შრადერი 337 გვერდზე და რა ხალხს ეკუთვნის, იმას არ იხსენიებს. ქართ. —„ფარი"—ძველ-ლათ. „პარმა" და სხვა. მაშასადამე, **ქართველები ძველად აჲე მე-X საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე ყოფილან დიდებული ხალხი, ყველგან ცნობილი, რომელმაც იცოდა ძველიდანვე რკინის შემუშავება და შესანიშნავი იყო რკინის იარაღით და სხვა მადნეულობით.**

მოიგონეთ ამასთანავე, თქმულება იაზონის მოგზაურობის შესახებ კოლხიდაში ოქროს ვერძის წასაღებად.

**სვანი ი. თ. ნი—რაძე.**

(დასასრული იქნება)

*) რომაელები (ჩვენი შენიშვ.)

# გორის საზოგადოებისადმი

უკანასკნელ ხანებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, როგორც ნაწვიმარზე სოკო, ისე იზრდება სხვადასხვა გვარი კლუბი. ამ კლუბებს, შეიძლება, საზოგადოების გამაერთიანებელი ხასიათიც ჰქონდეთ. ზევრი იმასაც იტყვის, რომ ამ კლუბების შემწეობით შეიძლება საკულტურო დაწესებულებათა დახმარება და სხვა ასეთი, მაგრამ ტფილისის „ახალი კლუბის" მაგალითმა ნათლად დაგვანახვა, რომ კლუბებს ქართველი საზოგადოებისთვის სიკეთისჩინო არა შეუქმნიათ რა. სამაგიეროდ მავნებელი კი—ბევრი: ლოტოსა და ბანქოს თამაში, რომელიც დილის 3 საათამდე გრძელდება, დროის უსაქმურად გატარება, ფუქსავატობა და უკანასკნელ გროშების ფუჭად გაფლანგვა. კიდევ შეიძლებოდა ამ კლუბების არსებობის გამართლება, მათ რომ ნაციონალური ხასიათი ჰქონდეთ და ნაციონალურ საქმეებს ემსახურებოდნენ. მაგრამ ეს ასე როდია. ასეთი კლუბები იხსნება ყველგან, დაბაშიაც კი და მალე მგონი სოფლებშიც გაიხსნას. არის ასეთი კლუბი ცხინვალში, გორში და სხვ., იმ დროს, როდესაც მაგ. გორში, არ არსებობს დრამატიული საზოგადოება, ქართული თეატრი, ქართული მუდმივი დასი. მხოლოდ ორჯერ სამჯერ წელიწადში იქ ჩავლენ ხოლმე საგასტროლოდ ტფილისელი მსახიობები და ნაჩქარევად დასდგამენ შემთხვევითი წარმოადგენს. ქიათურამ, ხონმა, სურამმა და სხვა დაბებმა შესძლეს დრამატიულ საზოგადოების დაარსება. ქიათურაში სეზონი ზამთარ-ზაფხულ არის, ხონში კი ზაფხულობით. ნუ თუ გორელებს არ შეუძლიანთ საკუთარი თეატრის აშენება და დრამატიული საზოგადოების დაარსება? რასაკვირველია, შეუძლიათ. მხოლოდ მათ ხელს უშლის ქართველური დაუდევრობა და იმის

# ოსკარ უაილდ*)

**გ. დორიან გრეი.**

ოსკარ უაილდმა შექმნა ერთი რომანი, საცა მან სავსებით აღსახა თავისი მხატვრული მოვლინება: ეს რომანია „სურათი დორიან გრეისა". მისი ესთეტიური თეორია ამ რომანში საუცხოვო ზღაპრად გაიშალა, მაგრამ მხატვარმა სძლია ესთეტიკოსსა და ბოლოს თვითონ თეორია ყალბი გამოვიდა. სიცოცხლე და ხელოვნება—აი მთავარი თემა ამ რომანისა; მათი მუდმივი ბრძოლა და უთანხმოება—აი მისი შინაარსი.

მხატვარი ბაზილი შეხვდა მშვენიერს ყმაწვილს დორიანს. მისი ნაკვთი თვითონ ბუნებას გამოუჭრია, მისი სახე თვითონ ბუნებას დაუხატავს. იგი „ყრმა ადონისია, სპილოს ძვლისაგან გამოჭრილი და ყვავილის ყლორტებით გადაშლილი". და აიშალა მთელი ბუნება ბაზილისა. აქამდე იგი ოცნების მხარეს თუ იხილავდა ფორმათა სისრულეს, ახლა იგი თვალწინ ჰპოვებს თვითონ ოცნების ხორციელ ყოფას. და შეუყვარდა მას იგი ყმაწვილი, შეუყვარდა რაღაც არაჩვეულებრივი გატაცებით. მისი სიახლოვე და მასთან ლაპარაკი ჰგვრიდა მას ერთგვარს ჟრუანტელს, საცა გადაიქროდა სიცოცხლე და მხატვრობა, გრძნობა და ჰკვეტა, წუთიერება და უკვდავება. დორიანი შეიქმნა სრულიად ახალი მოტივი მთელი მისი ხელოვნებისა: იგი უჩვენებდა მას ახალსა და ახალს ჰორიზონტს, საცა ერთდებოდა ვნება რომანტიზმისა და სრულობა ელლინიზმისა. „ეს ყმაწვილი ნება თითქო მდუმარე სულია,—გვიხსნის მგოსანი,—რომელიც ხან ტყეთა ტევრში იმალება და ხან ქალთა ძოვრის მიჰქრის; იგი სული ერთი წუთით ხდება ხილული, როგორც მიმის არ-მცოდნე დრიადა, რადგან მისდამი კვალმიმდევ სულში ჰბადებს იგი საუცხოვო მოჩვენებათ, უმრუტელ წყაროს მშვენიერ საგანთა; უბრალო გარეგნობა ხდება სიმბოლოდ: თითქო იგი ლანდი იყოს სხვა უფრო სრული ფორმისა, რომელშიაც იგი ხილულად და შესახებლად სჩნდება... განა პლატონმა ამ აზრის მხატვარმა, არ აღმოაჩინა იგი პირველში? განა ბუონაროტტიმ არ გამოსჭრა იგი მრავალფეროვან მარმარილოსაგან სონეტები?! ასეთი შეიქმნა ბაზილის ხელოვნება, რომელიც გრძნობათა მიმალულს კუნჭულებში თითქო სიცოცხლის ხორცსაც ისხამდა... და ახალი ხელოვნების შთამგონებელი დორიანი იყო...

მაგრამ თვითონ დორიანსაც შთამგონებელი ექირვებოდა, თავისებური მეფისტოფელი. თუ ერთის მხრით იგი მხატვარს აღფრთოვანებდა, რომ მას შეექმნა ახალი ხელოვნება, მეორის მხრით სურვილი იბადებოდა, დორიანსაც ჰყოლოდა შთამგონებელი, რომ მას ახალი სიცოცხლე განეხორციელებია. ამგვარი შთამგონებელი გამოვიდა ლორდი ჰენრი. იგი ნამდვილი ეპიკურელია, ხოლო ახალი ხანით განბანილი და განსპეტაკებული. იგი ხელოვანია, მაგრამ ხელოვანი სხვაგვარი, იგი არ სწერს ლექსს, იგი თვითონ სიცოცხლეს ჰქმნის პოემად; იგი არ ჰქმნის მუსიკას, იგი თვითონ განცდას აქცევს სონეტად; იგი არ ჰკვეთს მარმარილოს, იგი თვითონ გრძნობას შლის პლასტიკად.. იგია გენიოსი იმპროვიზატორი. „იგი ათამაშებს აზრს, და ხდება გამომწვევი; იგი ისვრის მას ჰაერში, შეატრიალებს, ხელიდან უშვებს, რომ გასხლეტილი ხელახლა დაიჭიროს; იგი ამშვენებს მას მხიბლავ ფანტასტიურ ფერებით და ფრთას ასხამს პარადოქსებითა"... რათა? იმისთვის, რომ მოხიბლოს სხვა, სმენად აქციოს იგი, დაიჭიროს მისი სული, ჩაუთქვას საკუთარი გულისთქმა, გახადოს ნაზ ჰიანურად, გამოაცემინოს მის სიმებს თავისი ნაფიქრი, ნაზრახი, ნაგრძნობი.. აი ნამდვილი ხელოვნება მისი სიტყვით: შენი „მეს" სხვის „მეში" გადასხმა და დროებით მასში განხორციელება გაქცევს მაცქერალად საკუთარის ცხოვრებისა; ეს კი ნამდვილი არტისტიული „დროს გატარებაა".. და რა იხილა მან დორიანი, იმ წამსავე იგრძნო, რომ იგი თავის ხმების გამოსაცემად უკეთესს ჰიანურს ვერ იპოვიდა. ლორდმა მაშინვე გაშალა ჯადოსნობა თავისი სიტყვისა და მყისვე მოხიბლა სპეტაკი ყმაწვილი. მისმა სიტყვამ შეარხია დორიანში რაღაც ახალი სიმი, რომლისათვის ჯერ არავის ჩამოუკრავს; და ამიერითგან იგი ყოველთვის გრძნობს მის მაცდურს ჟრუანტელსა...

და გაიმართა ორგვარი შემოქმედება: ყმაწვილი აფრთოვანებს ბაზილს და მხატვარი ჰქმნის ახალს ხელოვნებას; ლორდი აფრთოვანებს ყმაწვილს და დორიანი ჰქმნის ახალს სიცოცხლეს. ამ ორგვარ შემოქმედებამ ერთი ქმნილება უნდა შეჰქმნას, საცა ხელოვნება სიცოცხლე იქნება და სიცოცხლე ხელოვნება. ასეთია შინაგანი კომპოზიცია ამ რომანისა: მისი შეუცნობელი მიზანი.. მაგრამ აქ პირველივე ბიჯით შეეტაკება ერთი მეორეს ეს ორი სახის შემოქმედება,—და ესთეტიური თეორია უაილდისა საგრძნობლად ირღვევა.

დორიანს შეუყვარდება მსახიობი ქალი სიბილლ ვენ: მოსწონს მასში მისი ხელოვნება; სიბილლ ვენ შეიყვარებს დორიანს: მოსწონს მასში ლამაზი სიცოცხლე. მაგრამ ხელოვნება და სიცოცხლე ერთი მეორეს ვერ ეთვისება: რამდენად უფრო უყვარს სიბილლას, მით უფრო ჰკარგავს იგი ხელოვნების ნიჭს. „ერთს საღამოს როზალინდა ვიყავ, მეორეს—პორცია; ბედნიერება ბეატრიჩესი იყო ჩემი ბედნიერება, ტანჯვა კორდელიასი—ჩემი ტანჯვა.. მე ვიცოდი მხოლოდ მოჩვენებანი და ეს მოჩვენებანი სინამდვილეთ მეჩვენებოდნენ; თქვენ დამანახვეთ მე, თუ რა არის სინამდვილე". ასე ეუბნება იგი დორიანს, მისთვის ეხლა სცენაზე თამაში თვალთმაქცობაა, სიცოცხლე კი ნამდვილი სინამდვილე: ხელოვნება—არაფერი, დორიანი—ყველაფერი... მაგრამ დორიანი სხვანაირად ფიქრობს: მისთვის სიცოცხლეა მოჩვენება, ხელოვნება კი სრული სინამდვილე. და როცა ერთს საღამოს ვეღარ იხილა მან უწინდელი ხელოვნური თამაში სიბილლასი, დორიანმა გულცივად უარჰყო იგი და თან მისი სიყვარული: „თქვენ ახორციელებდით ოცნებებს დიდებულს მგოსნებისას და ცოცხალ ფორმებში გარაქმნიდით უსხეულო სახეებს ხელოვნებისას"; ეს მიყვარდა მე თქვენში: თქვენ ეს უარჰყავით და აღარც მიყვარხართ.. სიბილლა თავს იკლავს. დორიანში სინდისი გაიღვიძებს და დაღონდება იგი, მისი შთამგონებელი ჰენრი სულ სხვა რამეს ასწავლის: „თქვენთვის იგი მხოლოდ სიზმარი იყო, უბრალო მოჩვენება შექსპირის დრამიდგან, რომელიც პიესას უფრო ტკბილ სასმელად ჰხდიდა; იგი იყო სალამური, რომელიც შექსპირის მუსიკას კიდევ უფრო ხმოვანად და მხიარულ მდიდრათა ჰქმნიდა. როცა იგი შეეხო სინამდვილეს, მან დაამახინჯა თვისი ცეცხლი, და ცხოვრებამაც უარჰყო იგი. „ტირეთ ოფელია, თუ გნებავთ: იგი უნდა მომკვდარიყო. თავს ფერფლი დაიყარეთ, რადგან დამსხვრეულია კორდელია. სწყევლეთ ცანი, რომ ბრამანციოს ასული გარდაიცვალა. ხოლო ტყუილად ნუ ღვრით ცრემლებს სიბილლ ვენის ცხედარზე: იგი მათგან ყველაზე ნაკლებ ნამდვილი იყო".. დიახ, ლორდ ჰენრი მართალს ამბობს: სიბილლ ვენ დორიანისათვის სინამდვილე არ იყო..

მაგრამ, შეიძლება თუ არა, ხელოვნებამ სინამდვილის ადგილი დაიჭიროს, როგორც ეს სწადია ლორდსა, დორიანსა და მათს შემქნელს უაილდსა? აი კითხვა, რომელიც ეხლა თავს ჰყოფს რომანში. უაილდიც უგებს მას საუცხოვო პასუხს, მაგრამ ამ პასუხშიაც მხატვარი უარჰყოფს ესთეტიკოსის თეორიას! აი ეს პასუხი! როცა ბაზილი დორიანს ხატავდა, ყმაწვილი ერთგვარი შურით უცქერდა თავის სურათსა: იგი უკვდავი უნდა იქნეს, მე კი უნდა მოვკვდე; იგი მუდამ ყვავილოვანი და სურნელოვანი იქნება, მე კი დავსჭკნები და გავიხრწნები; დადგება წამი, როცა სურათი ჩემთვის დამცინავ სარკედ გადაიქცევა; ჰო, რა იქნებოდა, რომ სურათი სჭკნებოდეს, მე კი მუდამ მშვენიერი ყმაწვილი დავრჩე! ჰო, რა იქნებოდა, რომ დრომ სურათს დააჩნიოს საშინელი კვალი, მე კი თვითონ დრო და ჟამი გადავიარო ასე ლამაზი და მშვენიერი?!" აი, რას ნატრობდა იგი. და რაღაც განგებამ, რომელიც საიდუმლო ძაფითაა გაბმული სიცოცხლესა და ხელოვნების შუა, აღასრულა იგი ნატვრა ყმაწვილისა. მაგრამ როდის? როცა დორიანმა სიცოცხლე უარჰყო, როცა მან პირველი საშინელება ჩაიდინა.. გაიგო რა სიბილლას თავის მოკვლა, იგი სურათს მიუახლოვდა, მაგრამ საშინლად შეჰკრთა: სურათი ცოტათ შეცვლილიყო: პირის კუთხეში რაღაც ნაოჭი სისასტიკისა უთამაშებდა. ამიერითგან სრულდება მისი ნატვრა: იგი ვნებაში შლის თავის სიცოცხლეს, მაგრამ ვნება არ „ავნებს" დორიანსა: იგი მის სურათზე ნაოჭებად აღიბეჭდება, თვითონ დორიანი კი რჩება მუდამ მშვენიერი, მუდამ ლამაზი, მუდამ ყმაწვილი..

მაგრამ რა? ნუ თუ ეს წარმტაცი უტოპია, სინამდვილეთ მოვლენილი, ჰქმნის ადამიანის სისრულესა? ნუ თუ მხოლოდ სხეულის სრულობაა უკანასკნელი მიზანი ადამიანისა? აი კიდევ საშინელი კითხვა, რომელიც მალულად თავს იჩენს რომანში. ამ

*) იხ. „სახალხო გაზეთი" № 921.

იმედი, რომ მათ მაგიერ სხვანი იმუშავებენ. ქართულ სცენის საუკეთესო მსახიობებმა პირველად გორში გადასდგეს ნაბიჯი ქართულ სცენაზე. ნატო გაბუნია-ცაგარლისამ პირველად გორში შესდგა სცენაზე ფეხი. საკმარისი იქნებოდა, რომ გორელებს თავისი პირმშოსათვის ძეგლი აეგოთ, მაგრამ არამც თუ ძეგლის აგება, მათ ვგონებ, თვით ფაქტიც დავიწყებული აქვთ. დროა გორელებიც გამოერკვნენ ძილისაგან და მხნედ მოჰკიდონ ხელი გადაშენების გზაზე დამდგარ საზოგადოების გარდაქმნის საქმეს. დროა, მათაც შეჰქმნან ის კულტურული დაწესებულებანი, რომლის საშუალებით ქართველებს კიდევ შეუძლიანთ თავისი ეროვნული არსებობის უზრუნველყოფა. თუ სხვა საქმე საძნელოა, დრამატიული საზოგადოების დაარსება მაინცა და მაინც არ არის ძნელი საქმე.

**კ—ელი.**

## მუშათა ცხოვრება

✦ ქიათურაში გაფიცულ მუშებსა და მწარმოებელთა შორის მოლაპარაკებაა გამართული. შესაძლებელია, საქმე მორიგებით გათავდეს.

✦ ვარშავის მუშების საავადმყოფო კასების რწმუნებულთა კრება ვერ შესდგა პოლიციის მიზეზით. კრება გადაიდვა.

✦ ბელოსტოკში გაიფიცნენ ტყავეულობის ქარხნების მუშები. მოითხოვეს ქირის მომატება 20%-ით.

✦ ქუთაისის მუშებმა თუთხმეტი მანეთი გაუგზავნეს სოც. დემოკრატიულს გაზეთს „ლუჩს".

✦ ვარშავაში გაიფიცნენ საბავშო ტანისამოსების მკერავი მუშები ეკონომიურ ნიადაგზე.

✦ პირველი აგვისტოს კიევში გაიმართება მთელი რუსეთის კოოპერატიული კრება. საორგანიზაციო კომიტეტს 25 ათასი მოსაწვევი ბარათი დაუგზავნია. კრების პროგრამაში შედის საზოგადო საკითხები და კოოპერაციის სხვა და სხვა დარგი: საკრედიტო, მომხმარებელი, სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო-მწარმოებელი კოოპერაციები.

## რუსეთი

**სტუდენტის მოკვლა.**

ლისინის სატყეო ოლქში, პრაქტიკულ მეცადინეობისათვის არიან მისული პეტერბურგის სატყეო ინსტიტუტის 200 სტუდენტი. სტუდენტები ბარაკში სცხოვრობენ. სტუდენტთა შორის 10 „აკადემისტი" ყოფილა. აკადემისტებსა და არა აკადემისტთა შორის თურმე ვერ იყო კარგი დამოკიდებულება. ერთს საღამოს, სტუდენტი კამენევი (არა აკადემისტი) ამხანაგებთან პრეფერანსს თამაშობდა და ცოტა ზარხოშად იყო. როდესაც თამაში გაათავეს კამენევი და ერთი მისი ამხანაგი ოთახში წავიდნენ დასაძინებლად. კამენევს შეაშალა თავის ოთახი და სხვის ოთახს ფეხი ჰკრა. თურმე ამ ოთახში აკადემისტი სტუდენტები ცხოვრობდნენ. ერთმა მათგანმა, კისელოვიჩმა, კარებისაკენ რევოლვერი ისროლა; ტყვიამ გაიარა კარების ფიცარი და კამენევი დასჭრა თავში სასიკვდილოდ. კამენევი იქვე წაიქცა, ექიმი მოიყვანეს, მაგრამ ვერა უშველეს-რა. სანამ ამხანაგები დაჭრილს თავს დასტრიალებდნენ, აკადემისტები ჩუმად გაპარულიყვნენ, მაგრამ პოლიციამ ყველა დაატუსაღა. აღელვებულ სტუდენტებს მოუხდენიათ საერთო კრება და საქმის გამორკვევის შემდეგ დაუდგენიათ: მოსპონ მუშაობა ვიდრე აკადემისტ სტუდენტებს არ წაიყვანენ ტყიდან.

**სტიპენდიის მიღების ახალი წესი.**

როგორც სატახტო ქალაქის გაზეთი გადმოგვცემს განათლების მინისტრს კასოს გაუგზავნია საიდუმლო მიწერილება კიევის სასწავლო ოლქის მზრუნველისათვის, რომელშიაც მინისტრი ამბობს, რომ მას ცნობა აქვს, ვითომც კიევის უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სტიპენდიას ისეთ სტუდენტებს აძლევს, რომელნიც არაკეთილსაიმედონი არიან. მთავრობას არ შეჰფერის ხარჯოს ფული სახელმწიფოს საწინააღმდეგო მიმართულების დასახმარებლად. ამიტომ მინისტრი წინადადებას აძლევს მზრუნველს სტიპენდიის დამტკიცების დროს იქონიოს მხედველობაში არა მარტო გონებრივი წარმატება სტუდენტისა, არამედ გუბერნატორის ატესტაციაც. სტიპენდიის მთხოვნელმა უნდა წარმოადგინოს ადმინისტრაციიდან მიცემული კეთილსაიმედო მოწმობა.

**უცნაური თავ-მოყვარეობა.**

13 ივნისს, პეტერბურგში, მოხდარა დუელი მხედართ თავად ა. ვ. ამილახვრისა და მილერის შორის. მოწინააღმდეგენი 15 ნაბიჯის სიშორეზე ისროდნენ. არც ერთი არ დაჭრილა. თავ. ამილახვარსა და მილერს მეორედ ჰქონიათ დუელი. პირველად გამართულ დუელში ამილახვარი დაჭრილიყო ბეჭში და რადგანაც სროლა აღარ შეეძლო დუელის გაგრძელება 13 ივნისს მოხდა. ამბობენ, რადგანაც 13 ივნისის დუელი ასე გათავდა, დუელი მესამედ მოხდება კიევს, ვინაიდან გადაწყვეტილი აქვს, სანამ ერთ ერთი არ მოკვდება უნდა იბრძოლონ.

**საინტერესო გამოგონება.**

ერთ მოსკოვის ქარხანას დაუმზადებია ვინმე პეტროვისაგან გამოგონილი აპარატი, რომელიც საშუალებას იძლევა მიწის ზემოდან აღმოაჩინო მადნის ადგებარეობა. აპარატი თავის თავად ძალიან უბრალოა. იდეა აპარატის მოქმედებისა იმაზეა დამყარებული, რომ საერთოდ მადანი ელექტრონის ძალის კარგ გამტარებელად ითვლება. აპარატი უმთავრესად შეიცავს რუმკოფის კოჭს ელექტრონის ძალის გასაძლიერებლად და ბრაუნის ლულას ელექტრონის დენის მოძრაობის აღსანიშნავად. ელექტრონის დენს მიწას შეაერთებენ და მერმე ბროუნის მილში გაუშვებენ. შემდეგ მოწყობილია ეკრანი დენის ასაბეჭდათ. თუ მაგალითად მიწაში ნავთი მოიპოვება ელექტრონის დენის მოძრაობა სუსტია, თუ ქვა-ნახშირი მოძრაობა უფრო ძლიერია. ყველა ეს შეიძლება ეკრანიდან სამხატვროთი გადაიღოს კაცმა.

## უცხოეთი

**მაკედონიის ძმობათა მემორანდუმი.**

მაკედონიის ძმობები წარმოადგენენ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც მაკედონიის ბულგარეთთან შეერთებას მოითხოვდნენ. პირველად მათი მოღვაწეობა გამოიხატებოდა ემიგრანტ-თანამემამულეთა დახმარების გაწევით. ძმობა შესდგებოდა ერთი ქვეყნის ემიგრანტებისაგან. (ჩვენებურად-სათვისტომო) მაგალითად, ბიტოლიისა და ოხრიდის ძმობა. ბოლოს, მაკედონიის მოძრაობის გაძლიერების გამო, ძმობები შეკავშირდნენ და მოძრაობას დახმარებას უწევდენ, როგორც სამოძრაო ძალით ისე ფულითაც. ბალკანეთის ომი რომ დაიწყო, ძმობებმა შეადგინეს 15 რაზმი, თითო რაზმში 1000 კაცი იყო. ძმობების რაზმი ქედგრად ომობდა ოსმალეთის წინააღმდეგ და დიდი ღვაწლიც მიუძღვის იავერფაშის ჯარის დატყვევებასა და ოსმალეთა დესანტის ხელის შეშლაში. ომის გათავების შემდეგ ძმობების რაზმი დაბრუნდა სამშობლოში, მაგრამ წინ სერბიელები დაუხვდნენ და არ უშვებდნენ სამშობლოში. როდესაც გამოირკვა, რომ სერბიას აზრად აქვს დასავლეთი მაკედონიის ხელში ჩაგდება, ძმობებმა მიჰმართეს ბულგარეთის მთავრობას, ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს და ევროპის საზოგადოებრივ აზრს და პროტესტს აცხადებდნენ სტამბოლელების მოქმედების გამო.

მემორენდუმი აღნიშნავს რომ მაკედონიის მდგომარეობა უცვლელია. რადგან ოსმალთა ბატონობა მაკედონიაში დამყარდა, ბერძნები და სერბიელები ცდილობდნენ თავს მოეხვიათ მაკედონიისათვის ბერძნების ან სერბიელების ეროვნება. ამ მიზნის განსახორციელებლად სარგებლობდნენ ოსმალთა დახმარებით. მაგრამ მაკედონელი ბულგარელები არ დაემორჩილნენ, ომი გამოუცხადეს ასეთი მისწრაფებას და მტკიცედ სწამდათ, რომ იგინი ბულგარები იყვნენ და არა სხვა ეროვნებისა. ომს, რომელიც მაკედონელმა ბულგარელებმა გამოაცხადეს, მიზნად ჰქონდა: დამოუკიდებელი ეკლესიის დაარსება, სერბიელთა პროპაგანდის წინააღმდეგობა და ოსმალთა ბატონობის დამხობა. ბულგართა ორგანიზაცია იყო ის, რომელმაც ნიადაგი მოუმზადა ოსმალთა განდევნის საქმეს. არცა კი შეეძლო სხვა ეროვნებისა ყოფილიყოს ეს ორგანიზაცია, რადგანაც მხოლოდ ბულგარელები უყურებენ მაკედონიას, როგორც თავის სამშობლოს; სერბიელები და ბ რძნები კი, როგორც უცხონი ხელს უშლიდნენ ბულგარელებს, ოსმალებს ემხრობოდნენ და მათთან ერთად სდევნიდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლთ. მაკედონია-ბულგარელებისაგან დასახლებული მხარეა. თითონ ბერძნებმაც იციან, რომ მაკედონიაში სერბიელები არ არიან, მაგრამ მაკედონელ მკვიდრთ „გაბულგარებულ ბერძნებს" უწოდებენ. ბულგართა ენა—მაკედონელთათვის საზოგადო ენაა. გარდა ამისა საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც სტამბოლში იყო მოწვეული 1876 წელს, უნდოდა მაკედონია ბულგარეთის ოლქთა შორის ჩაერიცხა, რუსეთს კი ბულგარელთა სამეფოსათვის, რომელიც უნდა დაარსებულიყო სან-სტეფანოს ხელშეკრულების მიხედვით, უნდოდა მიენიჭებია მთელი მაკედონია. ამიტომ სერბიელებისა და ბერძნების ცდა უნაყოფო იყო. მათგან შეწუხებულ მაკედონელებს იმედი ჰქონდათ, რომ მოვა დრო, როდესაც მაკედონია ბულგარეთს შეუერთდება.

ომის დაწყებისას მაკედონელები ჰფიქრობდნენ, რომ ეს სანატრელი დღე დადგა უკვე და მაკედონელებმა მოიპოვეს საშუალება ეროვნულ თვითგამორკვევისათვის და მოიცილეს ოსმალოს ბატონობა. მაკედონელები ათასობით ომობდნენ თრაკიაში და თვით მაკედონიაში, შველოდნენ განთავისუფლებისათვის — მოკავშირეთ. მაკედონელებმა იცოდნენ, რომ სწორედ მათი განთავისუფლებისათვის იბრძვიან ბულგარელები ანდრიაპოლსა და ჩათალჯასთან. სიხარულით ეგებებოდნენ მოკავშირე ბულგარელებს, სერბიელებს და ბერძნებს, მაგრამ სიხარული ხანმოკლე გამოდგა. სერბიელებისა და ბერძნების ჯარს ისე ეჭირა თავი, თითქოს დამონავებულ ქვეყანაში ჰყოფილიყო და ცდილობდა დიდი ხნის განზრახვა განეხორციელებინა; მათ უნდოდათ, მთელ ხალხს უარეყო თავისი ეროვნული თვითშეგნება, ეროვნული კულტურა. მაკედონიის მცხოვრებლებმა, რომელნიც თავისუფლებას ელოდნენ, დაინახეს, რომ იგინი იმყოფებიან მტარვალობისა და თავხედობის მფლობელობაში—„განმათავისუფლებელნი" უფრო მკაცრი და აუტანელი გამოდგნენ, ვიდრე თვით ოსმალნი. სერბიელებმა და ბერძნებმა თავის მოქმედებით ნათლად დაამტკიცეს, რომ მაკედონია მათთვის უცხო ქვეყანაა. ბალკანელებს ესაჭიროება მშვიდობიანობა ასეთი დამამხობელი ომის შემდეგ. მაგრამ მშვიდობიანობის დამყარებისათვის აუცილებლად საჭიროა განხორციელდეს ის მიზანი, რომელიც განმათავისუფლებელ ომს ჰქონდა მიზნად, როდესაც ბალკანელებს მიეცემა საშუალება შეუერთდნენ თავის მონათესავე ხალხს. მაკედონელებმა დაამტკიცეს, რომ იგინი არ წარმოადგენენ უსიცოცხლო მასას, არამედ ხალხს და მათი წარმომადგენლების პირით აცხადებენ, რომ მაკედონია განუყოფელი დარჩეს, რადგანაც მაკედონელები ერთ ეროვნებას წარმოადგენენ. ის ოლქები, რომელთაც ბედისწერის დაცინვის გამო, სერბიელები და ბერძნები ჰფლობენ, მაკედონიის გულს წარმოადგენენ. მასა არ უნდა იყოს პოლიტიკურ კომბინაციების იარაღად; მაკედონელებსა სწამთ, რომ ბულგარეთი, რომელსაც კისერზე დააწვა მთელის სიმძიმით გამანთავისუფლებელი ომი, ნებას არ მისცემს არავის დაანაწილონ ერთი ქვეყანა, ერთი ერი; აგრეთვე დარწმუნებული არიან, რომ დაინტერესებული სახელმწიფოები არ მიანიჭებენ ბალკანეთის სახელმწიფოებს ხელოვნურ საზღვრებს, რაც უეჭველად გამოიწვევს ბალკანეთში ახალ არეულობას, ახალ ომს.

**შეთქმულთა დასჯა.**

„რუსკოე სლოვოს" კორესპონდენტი იწერება სტამბოლიდან:

11 ამ თვეს ალიონზე პოლიციის ავტომობილებით ყველა სიკვდილით დასჯილი მიიყვანეს სამხედრო სამინისტროს სადგომში, სადაც გამოუცხადეს განაჩენი.

განაჩენის წაკითხვის შემდეგ, დასასჯელებს ნება მიეცათ ანდერძისა და უკანასკნელ განკარგულების დატოვებისა.

დამად-სალიხ-ფაშამ მიმართა თავის ცოლს, სთხოვის სულთანს, რათა ეიუბში დაასაფლაონ მამის—ხეირედინ-ფაშის გვერდით.

სამხედრო სამინისტროს წინ მთელ ღამეს მუშაობდნენ დურგლები და გათენებისას მზად იყო სახრჩობელები.

სასიკვდილო განაჩენის დამტკიცება დაგვიანდა, რის გამო ხალხი ძლიერ ცოტა დაესწრო სასჯელს.

დილის 3 ნახ. საათზე, მზის ამოსვლის წინ გამოჩნდა ახლო მეჩითზე მოლა, რომელიც სალოცავად მოუწოდებდა მართლ-მორწმუნეთ. ამავე დროს სეკრეტარიატის ეზოდან გძელ თეთრ ხალათში გადაცმული კაპიტანი ყიაზიმა გამოიყვანეს ჟანდარმებმა.

წყნარი ნაბიჯით, სრულიად დამშვიდებული, მიუახლოვდა სახრჩობელას და შეჰყვირა:

—გაუმარჯოს მართლმსაჯულებას!..

უკანასკნელათ კითხულობენ განაჩენს და როგორც კი პირველი შეთქმულის სახელს ამოიკითხვენ, ყიაზიმა ყვირის:

—გაუმარჯოს მას!.. გაუმარჯოს ყველა შეთქმულს!..

როდესაც განაჩენის მკითხველი სამხედრო პირი ამოიკითხავს სამხედრო გუბერნატორის ჯემალის და პოლიციის უფროსის გვარებს, რომელთა მოკვლაც ვითომ შეთქმულებს უნდოდათ, ყიაზიმა ყვირის:

— წყეულ იყვენ!..

განაჩენის კითხვა თავდება. ყიაზიმა მიმართავს შეკრებილ ხალხს:

— სრულიად შეგნებულად ვმოქმედებდი. კარგათ ვიცოდი, რომ სახრჩობელა მომელოდა!

შემდეგ სხვის დაუხმარებლათ შესდგება სკამზე და თვალის დახამხამების შემდეგ უკვე ჩამოკიდებულია თოკზე.

მეორეთ დამად-სალიხ-ფაშა ჩამოახრჩვეს, რომელიც ყიაზიმივით მშვიდათ მიუახლოვდა სახრჩობელას, აუღელვებლათ შედგა სკამზე, მაგრამ სიტყვით კი არა უთქვამსრა.

როდესაც პოლიციის უფროსათ ნამყოფ—მუშიდს გადააცვეს კისერზე მუხრუჭი უცებ შეჰკივლა:

— სამშობლო იღუპება!..

მახმედ-ალიმ, სახრჩობელასთან მიახლოვების დროს ირონიულად გადასძახა მაყურებელთ:

— დღეიდან თქვენ უნდა განაგებდეთ ოსმალეთს...

თოფალ-თევფიკმა ჩამოხრჩობის წინ მკვეთრი ძლიერი ხმით წარმოსთქვა:

— თევფიკი კვდება, მაგრამ, ჩვენს სამშობლოში კიდევ მოიძებნება ათიათასი თევფიკი.

სურათი შემაძრწუნებელი იყო.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული კლუბი.** 15 ივნისს გაიმართა კომპოზიტორის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის კონცერტი. კონცერტი სამის განყოფილებისაგან შესდგებოდა. პირველ განყოფილებაში ბ. ზელიონის ლოტბარობით სიმფონიურმა ორკესტრმა შეასრულა ბოროდინის, მესორგსკისა და სხვა რუს კომპოზიტორებს ის ნაწარმოებნი, რომლითაც აზიური ელფერი იქვთ. ამავე განყოფილებაში ახალგაზდა მომღერალმა **გ. ღვინიაშვილმა** შეასრულა ოპ. „დემონიდან" არია: „ნუ სტირი, ბავშვო"... უნდა ვსთქვათ, რომ მომღერალმა ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ბ. ღვინიაშვილი ორი წელიწადი არის რომ სწავლობს; ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა სჭირია მას. რომ თავის ხმას შესაფერი გამოქნილობა და სიფაქიზე მიეცეს. დაბალ რეგისტრში მის ხმას არ ეტყობა სიძლიერე და განვითარება სჭირია, სხვა მხრით კი მისი ხმა ძლიერ საყურადღებოა: მოხდენილი, საუცხოვო ტემბრის ბარიტონი, რომელსაც თავისუფლად მღერით შეუძლია ასწიოს ბარიტონისთვის უმაღლესი ნოტი „სოლი". ამ მომღერლისაგან შემდეგში ბევრს უნდა მოველოდეთ, თუ კი სწავლის გასაგრძობად სალარი ექნება. მეორე განყოფილებაში ბ. ი. სარაჯიშვილმა შეასრულა ქართული სიმღერები ბ. არაყიშვილისა. ამ საღამოს ბ. სარაჯიშვილი შეუდარებელი იყო. იგი ხანგრძლივი ტაშისცემით დააჯილდოვეს და რამდენიმე სიმღერა გაამეორებინეს.

დასასრულ ბ. არაყიშვილის ლოტბარობით ორკესტრმა მისი სიმფონიური ნაწარმოებნი შეასრულა. კვლავ უნდა ვსთქვათ, რომ კომპოზიტორმა მთელი განძი შეიტანა ჩვენს ღარიბ მუსიკალურ სალაროში. ორკესტრაციის მხრით მან შექმნა ახალი რამ, ქართულ მუსიკაში ჯერ არ არსებული. თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ბ. არაყიშვილს კი არ მოუხდება ევროპიელ კომპოზიტორებთან სწავლა, არამედ თვით ევროპიელ კომპოზიტორებს დასჭირდებათ მასთან მისვლა ქართული მუსიკის ხასიათის გასაცნობად. ბ. არაყიშვილს ღრმესად აქვს შეგნებული და შეთვისებული

---

კითხვასაც საუცხოვო პასუხს უგებს უაილდი, მაგრამ ამ პასუხშიაც მხატვარის ფანტაზია ინსტიქტიურად სძლევს ესთეტიკოსის თეორიასა. აი ეს პასუხიც! ლორდი ჰენრი დარწმუნებულია, რომ ადამიანს ყველაფერი შეუძლია ჰქმნას დორიანის სილამაზითა. მას არ უნდა ზღუდავდეს არავითარი ფარგალი: არც რელიგია, არც ზნეობა, არცა რაიმე სხვა: იგი უნდა იქმნეს გულისაგან თავისუფალი და სილამაზით უნდა ახორციელებდეს თავის-უფლებას. ეს თვითონ უაილდის თეორიაა.. მაგრამ საკითხია: ახორციელებს თუ არა დორიანი თავისუფლებას სილამაზითა? მართალია, მას თითქო ყველაფერი უსრულდება, მაგრამ რა? იგი აძ ასრულებით მხოლოდ საშინელებასა და გარყვნილებასა სთესავს გარშემო. და ერთხელაც არის იღვიძებს სპეტაკი სული ყმაწვილისა და მთელი სიღრმით გრძნობს თავის ამ გახრწნილებას. სხეული მისი ნორჩი და ლამაზია, მაგრამ სული მისი განა ასეთივე ყმაწვილი და მშვენიერია? პირიქით: იგი საშინელი და მახინჯია, გარყვნილი და გახრწნილი. აბა შეხედეთ მის სურათს, სადაც მისი სულიერი განცდა ისახება! საზიზღარი, დაღრეჯილი, უშნო, წამხდარი, მახინჯი... და როცა ყმაწვილი სურათს იხილავდა ხოლმე იგი საშინელი მძულვარებით აღივსებოდა; მაგრამ თავის სიძულვილი სურათისადმი მის შემქმნელზე გადაიტანა და ერთს საღამოს კიდეც მოჰკლა იგი.. ამიერითგან ყოველი მისი ბიჯი საშინელი ხდება,—„დროთა ბნელის ქვესკნელთაგან კი სდგება საშინელი სისხლწითლად გახვეული სახე მისი დანაშაულისა". და ვეღარ გაუძლო მან ამ საშინელებათ: უარჰყო ლორდი და მისი თეორია, უარჰყო ხელოვნება, როგორც სინამდვილე, მოისურვა ისევ სიცოცხლე, სისხლხორცით შესხმული.. და ერთს საბედისწერო წამს დაჰკრა მან დანა სურათს მაგრამ საიდუმლოებავ: სურათის მაგიერ თვითონ მოკვდა. როცა იხილეს, მას თავს დასცქეროდა ისევ ის მშვენიერი ყმაწვილის სურათი; თვითონ ყმაწვილი კი მის ქვეშ ეგდო გახრწნილი და დამახინჯებული...

ასე დამთავრდა შეტაკება სიცოცხლესა და ხელოვნებისა. ხელოვნება ვერასოდეს ვერ დაიჭერს სიცოცხლის, და თუ დაიჭირა, ეს მხოლოდ დროებით, რომ შემდგომ მასზე უფრო სასტიკად იძიოს შური. დორიანმა უარჰყო სიცოცხლე: იგი მისთვის მხოლოდ მოჩვენებაა; მან მიიღო ხელოვნება: იგა მისთვის ნამდვილი სინამდვილე; მაგრამ ხელოვნურ სინამდვილემ გახრწნა იგი. როცა მისდამი გაილაშქრა, თვითონვე დაიცა დანა გულს: დორიანმა უარჰყო სიყვარულით სავსე სიცოცხლე სიბილასი, მან მიიღო მხოლოდ მისი ხელოვნური თამაში,—და აი ეხლა ამგვარ თამაშმა სიკვდილის ცეკვა - ხარხარში დაახრჩო იგი... თეორეტიკოსმა უაილდმა ააგო მდიდრათ მორთული ტაძარი მშვენიერებისა, მაგრამ მხატვარმა უაილდმა ინტუიციით იგრძნო მისი ყალბი საფუძველი და შემოქმედი კვერით დაამსხვრია და ნანგრევად აქცია იგი.. დიახ, დიდს შეცდომას იდენს ის, ვინც სიცოცხლეს უარჰყოფს როგორც სინამდვილეს და მის მაგიერ ხელოვნების მშვენიერ მარკას წამოაყენებს: იგი შეეჩვევა ცხოვრებას ყალბი გამოსახვით, გარეგანი ფორმით, და თავის შინაგან „მეს" დეკადანსის მოლიპულს გზაზე დააყენებს. აი ინტუიცია ოსკარ უაილდისა...

მაგრამ უფრო ღრმად და ძლიერ იგრძნო მან სიყალბე თავის თეორიისა, როცა თვითონ მას შეეხო მკაცრი, გულცივი, შეუბრალებელი სინამდვილე.. მშვენიერების ალისფერ მოსასხამში შეიძლება უმზგავსო გარყვნილებაც იყოს გახვეული, და უაილდიც, ეს „ცეცხლთ-თაყვა ისმცემელი" მშვენიერებისა, ეტანებოდა მის ლამაზსა და მაცდურს უფსკრულს. „რასაც ჩემთვის პარადოქსი აზრთა სამეფოში წარმოადგენდა, მალე გახდა ჩემთვის გარყვნილება ვნებათა სფეროში" (ციტატები „დე პროფუნდისიდგანაა" მოყვანილნი), და დიდებული მხატვარი კიდეც მოხვდა დამნაშავის სკამზე... „მე გადვისროლე მარგალიტი ჩემის სულისა ღვინით სავსე თასში, სალამურის ხმების ქვეშ დავეშვი გზას, გაფენილს პირველ ყვავილებითა; მე ვიკვებებოდი თაფლით",—და ახლა ტონის მომცემი მხატვრობაში, მასწავლებელი ტილისა, მეფე სიცოცხლისა, ბნელსა და საზიზღარს სატუსაღოში ატარებს დროს. მას ყველა ზიზღით იხსენიებს, მისი სახელის ხსენება სამარცხვინოთ ითვლება, იგი უარჰყო ინგლისის საზოგადოებამ, მოექცა მას ბრბოს სიმკაცრითა: როცა ნახა კვირცხლბეკიდან ჩამოგდებული, დასცინა, შეაფურთხა, გასთელა ყოველი მისი წმინდა...

და აი ციხის მარტოობაში იგრძნო უაილდმა, რომ „შეიძლება კვარცხლბეკი სრულიად უბრალო ნივთი იყოს, ხოლო სამარცხვინო ბოძი კი საშინელი სინამდვილე". დიდებული მხატვარი, რომელიც საუკუნო მწუხარებას წუთიერ მხიარულებას ანაცვალებდა, ეხლა, სამარცხვინო ბოძზე გაკრული, ამას წარმოსთქვამს. „მხიარულება მშვენიერი სხეულისათვისაა და ტანჯვა მშვენიერი სულისათვის". და ჰქმნის მთელს ფილოსოფიას ტანჯვისას... „არა არისრა ისეთი რაიც მოძრაობს მთელს აზრთა სამეფოში, რომელის საპასუხოდ მწუხარება არ ირხეოდეს საშინელის და ძვირფასი კანკალითა; თხელი, მოძიგძიგე ფოთოლი თითბერის ვარაყისა, რომელიც ფიზიურს საწყობში უჩვენებს თვალ-უხილავ ძალთა მიმართულებას; ტლანქია ტანჯვასთან შედარებით; ეს არის წყლული, რომლითგანაც სისხლი გადმოითქრიალებს, თუ მას სხვა ხელი მიეკარა, გარდა სიყვარულის ხელისა; მაშინც გადმოხეთქავს სისხლი, თუმცა უტკივრად"...

მხოლოდ მწუხარებაში იმალება სული, მხოლოდ ტანჯვაში მხილდება მისი საუნჯე,—იგრძნო უაილდმა, და მის თვალ-წინ მხიარული ზეკაცის ადგილს წამოიჭრა დიდებული ნაზარეველი, ტანჯული კაცობრიობისათვის. იგი შეიქმნა უაილდის ცხოვრების ხორცსხმული სიმბოლო, წარმტაცი და მატყვევებელი, მშვენიერი და შეუდარებელი. დიდებულს მხატვარის სულში მხატვრულად გადაიჭრა ღვთიური სული ნაზარეველისა: იგი გახდა უაილდის თვალში პირველი მსოფლიო მგოსანი და მისი სიცოცხლე საუცხოვო მსოფლიო პოემა.. „არც დანტეს, არც ესხილს, ამ ყკაცრ ხელოვანთ ნარნაროცისა, არც შექსპირს, ამ ყველას უფრო ადამიანურს დიდებულ მგოსანთა შორის, არც კელტის მითსა და ლეგენდებსა, სადაც ცრემლთა ბურუსში გამოსჭვივის სილამაზე ქვეყნისა და სადაც ადამიანის ცხოვრება მხოლოდ-და სიცოცხლეა ყვავილისა, არ შეუქმნიათ ასეთი უბრალო მაგრამ ღრმა ტრაგიზმი, როგორიც არის ვნებანი უფლისანი".. „მან აიღო — მთელი ძდუმარე ქვეყანა, მუნჯი ქვეყანა მწუხარებისა, გახადა იგი თავის საკმეტყველოდ და თვითონ იქცა მის გარეგან სიტყვადა",—ამბობს უაილდი მხატვარი, რომლისათვის „ერთს კვირტში იმალებოდა მთელი გაზაფხული და ტოროლის ბუდე იხახავდა მხიარულებას, მრავალის ვარდისფერ რიჟრაჟის შესახვედრათ".. „იგი იყო პირველი, ვინც აუწყა ადამიანს: იცხოვრეთ ყვავილის სიცოცხლით; მან მონახა სიტყვა",—ამბობს უაილდი, რომლისათვის „ყვავილნი ნაწილნი იყვნენ მისი ნღვლისა, რომელსაც ცრემლები ვარდთა ყლორტებში უცდიდენ".. „იგი გვამცნევს, როცა ამბობს: ნუ ფიქრობთ ხვალინდელ დღისათვის! განა სული უფრო დიდი არ არის, ვიდრე საჭმელი? განა სხეული უფრო დიდი არ არის, ვიდრე სამოსელი? უკანასკნელი სიტყვა წარმოთქმა შეეძლო მხოლოდ ელინს: მასში ასე დიდია ელინური გრძნობა; მაგრამ მხოლოდ ქრისტეს შეეძლო წარმოეთქვა ორნივე და ასე სრულებით განესაზღვრა ჩვენთვის სიცოცხლე",—ამბობს ელლინი უაილდი, რომლისათვისაც „არ არსებობდა არც ერთი ფერი, ყვავილის თასში ან სადაფის ნატეხში მიმალული, რასაც მისი სული პასუხს არ გასცემდა ნარნარი თანაგრძნობითა".. იგი ობოლია, განმარტოებული, უცქერს, რომ მომავალში არავინ მიიკარებს მას, და მგოსანი მთვარისადმი სონეტების მომღერალი, ისევ თავის მეგობარს მიმართავს: „მაგრამ ბუნებას, რომლის წვიმა ერთნაირად რწყავს მართალსა და უმართლოსა, აქვს ჩემთვის მთებში ხენი, საცა შემიძლია მივიმალო, და ყრუ ღელენი, რომელთა დუმილში მე შემიძლია ვიტირო შეუწუხებელი.. იგი შემკობს ცას ვარსკვლავებითა, რომ ბნელში შემეძლოს ხეტიალი წაუბორძიკებლათ, და გამოგზავნის ქარს ჩემ ფეხთა კვალის წასაშლელად, რომ არავინ გამომიდგეს მე; იგი განმწმინდავს მე დიადს წყლებში და მომარჩენს მწარე ბალახებითა".

აღსრულდა! იგი განთავისუფლდა, მაგრამ საზოგადოებამ არ მიიღო უარყოფილი. 1900 წელს ტანჯულმა უაილდმა ლათინის უბანის მიყრუებულ კუთხეში დალია განმარტოებული სული. მის კუბოს შვიდი ადამიანი მიჰყვებოდა.

დიაღ, მართალია უაილდ: ყოველი არსება, ყოველი ქმნილება აღსრულებაა წინასწარმეტყველებისა. უაილდის შემოქმედებამ და ცხოვრებამ დაამტკიცა ეს. იგი უარჰყოფდა სინამდვილეს და ჰქმნიდა ხელოვნურ სფეროს, იგი პირს არიდებდა ნამდვილ მწუხარებას და უმღეროდა შვებას სონეტებს; მაგრამ სუსხიანმა სინამდვილემ უარჰყო თვისი უარისმყოფელი,—და უაილდ იქცა მსხვერპლად ოცნებით შეზუნულის მშვენიერებისა. ოცნების მოტრფიალე „მხოლოდ მთვარის განათებაში ნახულობდა თავის გზას და სასჯელად ამისა ყველას უფრო ადრე შეხვდა ვარდისფერ განთიადსა".

**გრიგოლ რობაქიძე.**

აღმოსავლეთისა და კერძოდ ქართული მუსიკის ხასიათი. ჩვენ გვაინტერესებს არა მისი რომანსები და ევროპიული ხასიათის პიესები, არამედ მისი ქართული საორკესტრო ნაწარმოებნი. არაყიშვილის მიერ დამუშავებული ქართული ჰანგები ბევრს რასმე ახალს შეიტანს მსოფლიო მუსიკაში ისეთს ახალს, რომელსაც ყველამ ანგარიში უნდა გაუწიოს. ბ. არაყიშვილს მშვენიერად უსარგებლნია ხის საკრავებით, რამაც მის მუსიკას მისცა რბილი, მოსალბუნე ელფერი. პირველი ჰანგების გაგონებისთანავე მისი მუსიკა იტაცებს და ატყვევებს მსმენელს. ევროპიულ ხასიათის კომპოზიციები: „ფუგა“ „ესმერალდის ცეკვა“ და სხვა ვერ შეედრება ქართულს, მაგრამ ამ ნაწარმოებთა მოსმენა საკმარისია, რათა მათი ავტორი შემოქმედების ნიჭით დაჯილდოებულ, ჰარმონიზაციის კარგ მცოდნეთა რიგს მივაკუთნოთ. სამწუხაროა ის გარემოება, რომ ასეთ ნიჭიერ ქართველს შეძლება არ აძვს აქ, თავის სამშობლოში, იმუშაოს და შეგვძინოს ის, რასაც მისგან უნდა მოველოდეთ. იქ, სამშობლოს გარედ, მას რასაკვირველია, ხელს უშლის არსებობისათვის ბრძოლა, რის გამოც იგი დატვირთულია სრულიად მცირე უსარგებლო მუშაობით და მის, დანიშნულებას საკმაო დროს ვერ ანდომებს. დამსწრენი მას ალტაცებით მიეგებნენ და დაფნის გვირგვინი მიართვეს.

**კორდელი**

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**17 თიბათვე.**

## უცხოეთი.

**სოფია.** საღენერალო შტაბი̇ა ცნობა მიიღო, სერბიელებმა მოწინავე პოზიციები დაიჭირესო. სერბიელთა ჯარმა, რომელიც ზლოტოვისა და იშთიბის შუა სდგას, განაახლა სროლა. ბულგარელებმაც უპასუხა· მერე შეტაკება ჩრდილოეთით ელეფტერის ახლოს მოხდა, სადაც ბერძენების ჯარი გამაგრებულა სასტიკი ბრძოლა აუტეხეს. შეტაკების შედეგი არ იციან.

**სოფია.** ზლეტოვის შეტაკების მიზეზი სერბიელებისაგან დარბევა არის. სერბიელები გაჯავრდნენ იმისათვის, რომ ბულგარელებმა ჩეტა შეადგინეს მათ საწინააღმდეგოდ. გაჯავრებული სერბიელები შეესიენ ბულგარელების სოფელს და დაარბიეს. ჩეტის წინამძღოლის აბასოვის ოჯახი ააწიოკეს. ბულგარელებმა სერბიელები განდევნეს, მაგრამ მეორე დღეს სერბიელებმა მაშველ ჯარს დაუძახეს. ბულგარელებმა ლ. ძ...იეს და უკუ აქციეს სერბიელები, რომელთაც მოკლულნი ჯარის-კაცნი დასტოვეს ბრძოლის ველზე, მათ შორის ერთი მხედარია. სერბიელებმა ზლეტოვს ცეცხლი წაუკიდეს. გლეხებს აწამებენ იმისათვის, რომ თავის თავს ბულგარელებს უწოდებენ.

**ტოკიო.** სხვა და სხვა პარტიათა პოლიტიკური მოღვაწეების კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომ იაპონიის დიპლომატიის მოქმედება კალიფორნიაში საკმაყოფილებელია და სასურველია რომ იაპონელებმა თავისუფლებანი მედგრად დაიცვანო.

**ბერლინი**. გაზეთებში გამოქვეყნებულია ჟენევაში არსებულ სომხთა კომიტეტის დეპეშა: ქურთების მოძრაობა ოსმალეთის სომხეთში თან და თან ძლიერდება. მრავალ რიცხოვანი ბრბოები ჰსცარცვავენ სომხის სოფლებს, ჰკლავენ მცხოვრებლებს. ეხლა ქურთები გარს შემორტყმიან სომხების სოფლებს გურანსა და კარშქანს. ორივე ერთა შორის გამწვავებული ბრძოლაა. სომხები სრულიად უმფარველონი არიან. განხეთქილება აუცილებელია.

**სოფია.** ბულგარელებმა, როგორც მთავარი ჯარის სადგომიდან იტყობინებიან, გაიგონეს თოფის სროლის ხმა და მერე მიეშველენ მოწინავე რაზმს. მოხდა მკაცრი ბრძოლა ბულგარელებსა და ბერძნებს შორის. ბერძნები გაბრუნდნენ და გაიწიეს ელეფთერიპოლისისკენ. ბულგარელები მისდევდნენ ბერძნებს კალიჩიპლიკამდე. განსხვავებული იერიში მიიტანეს ბულგარელებმა ბერძნებზე მეშტიანისა და სემელტოსის მახლობლად. ჰფიქრობენ, რომ ბერძნებს სურვილი აქვთ შესწყვიტონ სერესსა და დრამას შორის მატარებელთა მიმოსვლა. ბულგარელები საკმაოდ გამაგრებულნი არიან.

**სალონიკი.** დილიდან გამწვავებული ბრძოლაა ბულგარებსა და სერბიელებს შორის. გევგელის მახლობლად, გუმანჯეს ჩრდილოეთ მხარეში მატარებელთა მიმოსვლა შეწყვეტილია. სანდოპ წყაროებიდან იტყობინებიან, ბულგარელებმა გევგელა დაიჭირესო.

**ათინა.** ბერძნების ფლოტს ბრძანება მოუვიდა წავიდეს ტეგესისა და ელეფთერის კუნძულისაკენ.

**სტამბოლი.** ფინანსთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ იყიდება 684 მილიონი ოსმალური ოთხკუთხი არშინი სახელმწიფო მიწა: ბაღდათისა, მოსულსკისა, დამოსკისა, ბეირუთისა, გამურეთულ-აზიზისა, სივასისა, და ალეფსის ვილაიეტებში. აგრედვე კადიკ-კიოის წყლის ნაპირა მიწები და სახელმწიფოს უძრავი ქონება: ფეროში, სტამბოლში და ბოსფორში.

**ლონდონი.** კავსტონ-ბოლეში გაიხსნა საერთაშორისო კონგრესი ქალებით ვაჭრობის მოსასპობლად. მთავრობის სახელით ლორდ ებერდინი მიესალმა კონგრესს.

## რუსეთი.

**რიგა.** დაიწვა კუზნეცოვის საფართლო ქარხანასთან არსებული მუშების ბავშვთა თავშესაფარი „იასლი“. თავშესაფარში მოჰყვა ერთი ბავშვი, რომელიც დაიწვა.

**პეტერბურგი.** მიწათ-მომწყობმა უწყებამ შეიმუშავა პირობები, თუ როგორ უნდა განახორციელონ უმაღლესი ბრძანება შესახებ გლეხთა მეურნეობის დასაჯილდოვებლად.

პრესაში დაიბეჭდა, ვითომც შინაგან საქმეთა სამინისტროს დაერიგებინოს საგუბერნიო მართველობებისათვის ებრაელთა სახლების აღწერილობა. ამითი, ვითომ, სამინისტროს უნდოდა გაეადვილებინა სამმართველოებისათვის იმ ბრძანების განხორციელება, რომელიც ეხება ებრაელებისაგან საქრისტიანო სახელების წოდებას. ეხლა როგორც იუწყებიან, ეს ცნობა მართალი არ არის.

**ჰელსინგფორსი.** გუბერნიის გამგემ უბრძანა პოლიციას ყური ადევნოს, რომ არავინ შეჰკრიბოს ფული გოფგერიხტის იმ წევრების სასარგებლოდ, რომელთაც ჯამაგირი და პენსია მოესპოთ.

**პეტერბურგი.** დაიჭირეს ჟურნალის „ბიულეტენ კანტორშჩიკას“ № 1-რი, რომელმაც დასტამბა სტატია „საპროფესიონალო კავშირები“.

# წერილი რედ. მიმართ

პატივცემულო ბატონო რედაქტორო, „სახალხო გაზეთის № 312-ში ახალი ამბების განყოფილებაში მოთავსებული იყო შემდეგი ცნობა:

„იასონ ჩიხლაძის თაოსნობით ასი რაჭველი სამუშაოს საშოვნელად სამხრეთ ამერიკაში მიდის. ჩიხლაძე უკვე შეჰკვრია პირობით ამერიკის ერთ-ერთ ფირმას. კეთილ-საიმედობის მოწმობა უკვე აუღიათ და მათი ერთი ნაწილი 21 იანვრამდე წავიდოდა და დანარჩენიც პირველ თებერვლამდე წავლენო“.

ნება მიბოძეთ შემდეგი მოგახსენოთ, რომ ამერიკაში მიმავალ უცხოელ მუშებს ყოველთვის დიდი საფრთხე მოელით და მიუხედავად იმისა, რომ კორესპონდენცია იუწყება, რომ კეთილ-იმედობის მოწმობა უკვე აუღიათო, ეს სრულიად არაფერს არ ნიშნავს და ჩვენ ვიცით ბევრი მაგალითები, რომ უცხოელი მუშები უკიდურეს მდგომარეობაში ვარდებიან ხოლმე. უსინიდისო მწარმოებლებს აქამდე მუშები იტალიიდან, ავსტრიიდან და ისპანიიდან მიჰყავდათ ხოლმე და ახლა აქ რომ მაზანდა გაუცვდათ, კავკასიას მიჰყვეს ხელი.

ამ ოთხი წლის წინად ვიღაც ურიამ სამასამდე ოსი მუშა წაიყვანა ჩრდილოეთ კავკასიიდან არგენტინაში და იქ ისინი საზარელ მდგომარეობაში ჩავარდნენ.

ხშირად, გემების კომპანიებს ჰყავთ დაქირავებული აგენ'ები, რომელნიც ასეთ ბრიყვებს აგროვებენ, ჩასვამენ გემში, გადახდევინებენ ბილეთის ფულს, მიიყვანენ დანიშნულ ადგილს და მერე თუგინდ კისერი ჩოუტეხიათ.

განათლებულ სახელმწიფოებში მუშების ემიგრაციის საქმე სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ სწარმოებს, მაგრამ რადგან ჩვენში ეს არ არის, საჭიროა საკუთარი ღონისძიება ვიხმაროთ. იმ ქვეყნებში სჭირდებათ გაუნათლებელი, ბოგანო მუშები და ჩვენებური შეგნებული მუშების წასვლა იქ დიდი ეროვნული უბედურებაა.

გთხოვთ გამიგოთ ერთი რომელიმე მუშის მისამართი, რომელიც არგენტინაში წავიდა და მე არგენტინელი ფირმების საშუალებით შევკრებ ცნობებს მათი მდგომარეობის შესახებ და თუ ხიფათში არიან საჭირო ზომებს მივიღებ.

საჭირო იქნება თქვენს პატივცემულ გაზეთში დაბეჭდოთ გაფრთხილება ამის შესახებ.

შემდეგისათვის კი ასეთ შემთხვევაში მზათა ვარ შევკრიბო დაწვრილებით ცნობები და ყოველივე დახმარება აღმოვუჩინო.

ემიგრაცია თავის-თავად არ არის საზარალო, თუ ნორმალურად იქნება მოწყობილი და, თუ თქვენ საჭიროდ მიგაჩნიათ, მე შემიძლიან გამოგიგზავნოთ ამერიკის სხვა და სხვა სახელმწიფოს კანონმდებლობა ამ საკითხის შესახებ.

ჩვენში, როდესაც ამერიკას ახსენებენ ყველას მილიონები ელანდება, მაგრამ ის კი არ იციან, რომ ამერიკა სხვა და სხვა სახელმწიფოსაგან შესდგება და ყოველ სახელმწიფოში განსაკუთრებული კანონმდებლობა და პირობებია.

მოსალოდნელია, რომ ქართველი მუშები, რომელთაც დღეს კავკასიაში უჭირთ სამუშაოს შოვნა, უცხოეთისაკენ გაიწევენ და აი სწორედ აქ გვმართებს სიფხიზლე, რომ საფრთხეს გვერდი ავუაროთ.

ყველაზე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ბათომში მყოფ ემიგრაციის მაჭანკლებს, რომლებშიც ზოგიერთი უსინდისო ქართველიც ურევია.

თუ რამდენად სერიოზულია ემიგრაციის საკითხი, ამას იმ ფაქტიდანაც დაინახავთ, რომ მანჯურიაში და აღმოსავლეთ ციმბირში რუსეთ-იაპონის ომამდე და შემდეგაც, დიდძალი ქართველობა წავიდა, ბევრმა მათგანმა სამუშაო რომ ვერ იპოვა, ექსპროპრიაციას მიჰყო ხელი. ყველაზე საფრთხილო ის არის, რომ ემიგრაციას ყოველთვის ეტანება ენერგიული ნაწილი ერისა და აი სწორედ ამაშია დიდი საფრთხე, რომელიც უნდა ვეცადოთ თავიდან ავიცილოთ.

ასეთი გაფრთხილების გავრცელება სოფლად უნდა იკისრონ სოფლის მასწავლებლებმა.

პატივისცემით **დავით ლამბაშიძე.**

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ, თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო ყველა იმ პირს, რომელმაც ხელი შემიწყო კონცერტების გამართვაში: „ახალი კლუბის“ მამასახლისებს; ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობას, ამავე საზოგადოების მომღერალ ქალთა სიმპატიურ გუნდს. მადლობას მოვახსენებ ყველა იმათ, ვინც კონცერტების წარმატებას ხელი შეუწყეს. განსაკუთრებულ მადლობას ვუძღვნი ჩემს რწმუნებულს ბ-ნ გ. ღვინიაშვილს.

პატივისცემით **დიმიტრი არაყიშვილი.**

ტფილისი 16 ივნისი.

# შემოწირულება

ქ. შ. წ. კ. გამავრც. საზოგადოებამ 26 მაისის სეირნობისათვის შემოწირულება მიიღო: 1) კნეინა ელის. რევაზის ასულმა ბარათაშვილმა—სარძევე ორი ცალი, ბანკა—ქილა, ორი საფერფლე, 6 ცალი თეფში ხელოვნური, (თამარ ყიფშიძის ხელით 2) რუსუდან ზაქარიას ასულმა გულისაშვილმა—ვაზა სადარბაზო ბარათებისთვის, 3) ეკატერინე ჯანყარაშვილმა—საშაქრე, 4) თომა გოგინაშვილმა—ორი კონსერვი, 5) პიჩკოვმა—10 წიგნაკი, რუსული, 6) სვიმონ ბერძნიშვილმა—ბავშვის ფეხსაცმელები და ხუთი წიგნაკი (ფერხული), 7) ბაბალე ბაქრაძემ—50 კ., 8) თამარ ადამიამ—1 მ., 9) ზაქარია ტეტუნაშვილმა—30 კ., 10) ბარხუდაროვმა—20 კ., 11) გ. კიკნაძემ—25 კ., 12) ფარცხალაძემ—20 კ., 13) მახეილ ხიმშიაშვილმა—20 კ., 14) რევაზ ფავლენიშვილმა—50 კაპ., 15) ილარიონ ბარნაბიშვილმა—20 კაპ., 16) აბრამ ცქიმანურმა—50 კ., 17) შუშანიკა ასათიანმა—საფერფლე და ფინჯანი, 18) მასიუს კანდიტერმა—10 კოლოფი კანფეტი, 1/4 გირვ., 19) გურგენოვმა—10 გირვ. შაქარი, 3 გირვ. შვეიცარიული ყველი, 1 გირვ. კარაქი, 20) ი. ს. სევანოვმა—ვაზა, 21) გ. ა. გალუსტოვმა—რეზინის ქამარი, 22) არშაკ ტერ-აკოპოვმა—1 ფინჯანი, 23) ნიკოლოზ გიორგის ძე სესიაშვილმა—10 მ., 24) სუზანაჯიანცმა—გიტარა, 25) პროვოდნიკის ამხანაგობამ—3 ცალი სუფრა კლეონკა, 3 რედიკიული, (ბარბარე ჩხიკვაძის ხელით) 26) ქივოვმა—1 მან., 27) ბაკურაძემ 50 კ, 28) მ. აშიხმანოვმა—30 კ., 29) ნ. ნიკოლაევმა—50 კ., 30) გონდაურმა—50 კ., 31) ზაქარია კონსტინმა მოწაფემ—15 კ., 32) ივანე მიქაძემ—1 მ., 33) ნინო ტყემალაძემ (მოწაფ.)—20 კ., 34) ა. რევჩენკოსაგან—2 მ., 35) ეკატ. პაპიტაშვილმა—40 კ., 36) მარიამ ხატიშვილმა—1 მ., 37) პეტრე დანოგიამ—40 კ., 38) ეკატ. იაშვილმა—1 მ. 5 კ., 39) გ. ბ. ციცქიშვილმა—1 მ. 50 კ., 40) არ. ფარეშიშვილმა—50 კ., 41) სულხანიშვილმა—50 კაპ., 42) ლ. ბარამოვისაგან—50 კ., 43) მესამე ავლაბრის სკოლამ—1 მ. 50 კ., 44) ს. სავინოვმა—20 კ., 45) თ. გეგელაშვილმა—50 კ., 46) მარ. ხორბალაძემ—50 კ., (ელენე მატარაძის ხელით) 47) დ. ზაქარიას ძე სარაჯიშვილისაგან—20 ბოთლი კონიაკი, 48) მინ. ბეგ. სტეფანოვმა—10 ბოთლი ღვინო, 49) ფ. გოგიჩაიშვილისაგან—1 ყუთი კუბიკები სურათებით, 1 სათამაშო ყუთი, 1 ყუთი სახატავი წამლები, 2 საბავშო წიგნაკი, 2 სახატავი წიგნი, 1 ყუთი სათამაშო, 1 პატარა გლობუსი, 50) ზედგინიძემ—7 თმის სავარცხელი, მარაო, პულივიზატორი, 2 სალფეტკის რგოლი, 51) გვ. გუგუაშვილისაგან—1 იაპონური საწერელი, 52) მანუილ მაიზელსონმა—ვაზა ლიმონისათვის, კალათი, ორი საფერფლე ფრაჟესი—53) მ. და გ. ხელაევისაგან—10 ბოთლი ღვინო.

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.**


## მატარებელთა მიმოსვლა
(ზაფხულობით)

18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** სად. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ, № 11, დილ. 1 ს. 28 წ. (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **საზ.** დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**ცხეთაში:** № 65, **საბარგაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **საგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

**ჯულფისკენ:** **საფ.** № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

**ყარსისკენ:** **საზ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** საღ, 8 ს. 4 წ. მეორედა მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საჩქარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

## ქალაქის საავადმყოფოები

**თამამშევისა**—ძუბოახის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## ექიმ ნავასარდიანის
## პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606“ და „914“**

**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**გ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ბგასარდვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საზებიო ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **თ. მ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საზებიო და ქალების ავადმყ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **გ. ა. ნავასარდიანი.** 1004

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-თხიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქირ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეპნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

1136

## მასწავლებელი ს. ა. გრიაზნოვი

ამზადებს გიმნაზიისა, კომერციულისა და სამიწისმზომელო სასწავლებლ., საოსტატო ინსტიტუტისა და აფთიაქის შეგირდად, განმეორებითი გამოცდისათვის. მსურველთ მიიღებს სრულ პანსიონზე.

ვერა, იზმაილოვის მისახვევი, ბელინსკის ქუჩიდან სახლი 6, ბინა 8. 325

## თელავში

კახეთის რკინის გზის ახლო იყიდება:

**ვენახები, სასახლე და სახნავი მიწები და გაუტეხავი ტყე.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ **ფოტოგრაფს ივ. ზ. ბარკალაიას** ქ. თელავში, 1216

## СИРОЛИНЪ РОШЪ

## სიროლინი „როშ“-ი

ბავშვებისა და მოზრდილთათვის ნაცადი, დამამშვიდებელი, გამხსნელი საშუალება ახალ თუ დაძველებულ ყაზზობისა, ყივანახველისა, ინფლუენციისა, ხველებისა, ფილტვების ანთების შემდეგ.

**უზრუნველმყოფელია ჭლექის წინააღმდეგ,**

**მადას აუმჯობესებს, ნარკოტიულ ნივთიერებთაგან განწმენდილია, გემო სასიამოვნო აქვს.**

ყიდება ყველა აფთიაქსა და საფთიაქო მაღაზიებში.

მოითხოვეთ უსათუოდ **სიროლინ „როშ“-ი** ქარხნის ორიგინალ. გასახვევით




1136 20674

→ **გამოსულია და იყიდება** ←

## ნ. შიუკაშვილის
**პიესა „მეგობრობა“,** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

ავადმყოფობის გამავრცელებელი ნივთიერების ხელის ხლების შემდეგ რაიმე ჭუჭყის შემდეგ საჭიროა

## ხელების დეზინფექცია

**„№ 4711 კარბოლის საპონით“.** შეუდარებელია ავადმყოფების საცვლების გარეცხვის დროს. ✦ ნამდვილი **№ 4711** კარბოლი საპონი მიხაკის ფერ ქაღალდში გახვეული მხოლოდ კან. დოწეს. **№ 4711.**




1343. Метцль 289592.

**გამოსულია და იყიდება**

## ი. გედევანიშვილის პიესა
## „მამაცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

## მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი

## ძმ. ძმველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

**ტელეფონი № 712.**

**ახალ-ახალი** მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.

**ახალი მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა** |ქვიშკა|

აგრედვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის დღეში, იანი, ჭიპა, ზურგიელები,** სხვა ყოველ-ნაირი **თევზეულობა** და **კონსერვები.**

20674